(22) 415
3-137

ქ. ბაბუნაშვილი

ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები

« მეცნიერება »

პროფესორ ილია აბულაძისა და
პროფესორ ვარლამ თოფურიას ხსოვნას
უძღვნის ამ შრომას ავტორი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ РУКОПИСЕЙ ИМ. К. КЕКЕЛИДЗЕ

Ст.

Е. А. БАБУНАШВИЛИ

АНТОНИЙ И ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОЙ ГРАММАТИКИ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1970

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ა. ახალციხის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

K 142 640
3

ე. გაგუნაშვილი

ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები



გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

1 Ф (с 41)+4Г
301(47.922)(092 ანტონ პირველი) + 492.962.1.53
ბ 137

ნაშრომში დაწერილებით არის განხილული ანტონ პირველის „ქართული გრამმატიკის" ორივე — ერცელი (1753 წ.) და მოკლე (1767 წ.) — რედაქცია, გარკვეულია მათი ურთიერთმიმართება, დადგენილია ის წყაროები, რომლებითაც სარგებლობდა ანტონი თავისი გრამატიკის შედგენისას და გაანალიზებულია ანტონის გრამატიკული ნააზრევი.

რედაქტორი შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი

[47, 2883-1 2102, 943,

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თანამედროვე ენათმეცნიერება თავის საგნისებს ეძებს არა მარტო კლასიკურ ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში, არამედ ე.წ. ნიშანთმეცნიერულ გრამატიკულ აზროვნებაშიც. ძველ ინდურ, ბერძნულ და არაბულ გრამატიკულ ლიტერატურაში ენათმეცნიერების ისტორიკოსები არაიშვიათად აღმოაჩენენ იდეებსა და ცნებებს, რომლებიც ეხმაურებიან ლინგვისტური მეცნიერების უახლეს თეორიებს[1].

ქართული გრამატიკული აზროვნების საგნისებთან დგას ანტონ[2]

---

[1] დამატებით იხილე, მაგ.: В.А.З в е г и н ц е в. История языкознания XIX-XX веков в очерках и извлечениях, часть I. Москва, 1964, გვ. 7-22; В.В. И в а н о в, В.Н. Т о п о р о в. Санскрит. Москва, 1960; В.Г.А х в л е д и а н и. Фонетический трактат Авиценны (Абу Али ибн Сина). Тбилиси, 1966.

[2] ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ანტონ სახელის ანტონი ფორმით ხმარება (იხ.: ა. შ ა ნ ი ძ ე. ანტონი I-ის მაკრენა სალიტერატურო ქართულზე. - "ძველი ქართული ენის კათედრის შრომები". 9. თბილისი, 1964; "ანტონი პირველის ქართული გრამატიკა...". ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია. თბილისი, 1965, გვ. 88). ეს მასალებიდაა: ისეთ სახელებში, რომლისაც "გეორგი (იხილე. გიორგი), გრიგორი (იხილე. გრიგოლი), ანტონი და სხვა მისთანანი... ბოლოკიდური... ი-ნი აიხსნება იმით, რომ ქართულში ეს

პირველის, პირველი ქართული გრამატიკის[3] ავტორის, მონუმენტური ფიგურა. მისი გრამატიკული მემკვიდრეობის შესწავლა და შე-

---

სახელები ბერძნული ან არის შეფეთებული მაგი ბერძნული ეტიმოლოგიის ფორმით" (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ბერძნული მამაკაცის სახელების გადმოცემისათვის ქართულში. – "სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში". წიგნი I. თბილისი, 1956, გვ. 155), მაგრამ სახელმა ანტონი (იხილე, როგორც გრიგორი II გრიგოლი) სხვა ამგვარი (გიორგი, აკაკი...) სახელებისაგან განსხვავებით, უკვე დიდი ხანია დაკარგა ფუძის ბოლოკიდური ი და დამოუკიდებელ სალიტერატურო ქართულში ფუძედ ანტონ-ია გამოიყენება. როგორც მ.შ ა ნ ი ძ ე მ გამოიკვლია, "ასეთი დიფერენციაცია ქართველურ კანონზომიერებას ეწინააღმდეგებოდა. ისტორიულად ი ხმოვანფუძიანი საკუთარი სახელი ლებს თანხმოვანფუძიანადაა გადაქცეული იმ შემთხვევაში, თუ ი-ს წინ მიუძღოდა ხმოვნის მომდევნო სონორი თანხმოვანი (ლ, რ, მ ან ნ)" (მ. შ ა ნ ი ძ ე. ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში. – "თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს". თბილისი, 1969, გვ. 132). სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ განაპირობა ჩვენს გამოკვლევაში ამ სახელის ფუძედ ანტონ-ის ჩათვლა. ამგვარად, ანტონ პირველი და არა ანტონი პირველი.

[3] მ.შანიძის 1737 წლის დაწერილი გრამატიკა ამ თვალსაზრისით ვერ ჩაითვლება ანტონის წინამორბედად, რადგანაც ის მხოლოდ მორფოლოგიას შეიცავს და ამასთან "დანამდვილებით, და უკვე, მახვილიანი წრის სხვადასხვა პირნი, შანშიანის ქმნილებაზე დიდი წარმოდგენისა არ ყოფილან. ამიტომ იგი უჩინარი

დასება დანამერთვე ენათმეცნიერების დეაღსაბრისიო ქართველ გრამატიკოსთა და ენათმეცნიერთა ვალია.

ანტონ პირველის "ქართული გრამმატიკის" მნიშვნელობა არა მარტო იმით განისაზღვრება, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, არამედ იმითაც, რომ მისი გაელენა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე დიდზე დიდი იყო და გრამატიკული აზრის განვითარება საქართველოში სრულად არ იქნება წარმოდგენილი, თუ ანტონის გრამატიკა გამორჩეულივით არ იქნება შესწავლილი. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ანტონის გრამატიკულ კანონებსა და მის სამი სტილის თეორიას მეფნაკლებად და შეძლებისაგვარად ანგარიშს უწევდა ყველა გამოჩენილი საბოძალო მოღვაწე, მწერალი თუ პოეტი, დაწყებული მისი თანამედროვეებიდან, ვიდრე XIX საუკუნის I ნახევრამდე (რომ ანტონის გრამატიკა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს წინაპართა შორის თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ მისი გრამატიკის მეორე, შევსებულ-შესწორებული, რედაქციის ნუსხაა რიცხვი თითქმის ოცამდე აღწევს: საქ.სსრ მეცნ. აკადემიის კ.კეკელიძის

შეიქმნა მომდევნო დროისთვისაც. დღეს კი შანშიანის "ქართულ გრამატიკას" მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი პირველი ცდაა "ქართული გრამატიკის" შედგენისა: ცდა, რომელსაც ბურაბის დანამერთვეთაგანი და ახლო დანამშრომელი - ეახუშვი ბატონიშვილი - სამართლიანად უყურებს რიგორც "გზას გრამატიკისას უსრულს" (ი. ა ბ უ ლ ა ძ ე. ქართული გრამატიკული ლიტერატურის არჩინელი ძეგლები. I. ბურაბ შანშიანი. - "საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე". X-ბ. 1940, გვ. 158).

სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია XVIII-XIX საუკუნეებში გადაწერილი ამ რედაქციის შემდეგი ხელნაწერები: A 720, A 1156, A 1396, H 787, H 1071, H 1072, H 1073, H 2066, H 2266, Q 96, Q 108, S 1142, S 1187, S 1388, S 1730, S 2734, S 2784. ორი ხელნაწერი - 198 და 221 - დაცულია ქუთაისში, სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. უამრავია აგრეთვე "სიმეტნის" - ანტონის გრამატიკის პირველი რედაქციიდან ამოღებული გრამატიკის მოკლე კურსის - ნუსხებიც)[4].

ამის გარდა, ანტონის შრომები პირველია და ყველაზე ტიპიური

---

[4] თვით ანტონის რიცი მის მიერვე დაწერილი სახელმძღვანელოების გავრცელებაში, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი იყო: "ანტონი შეუდგა ერმაღაჭის სკოლების გაარსებასა და სახელმძღვანელო წიგნების შედგენასა. ამ საქმეში დიდად შეუწირნენ ფრანგის ბერები. შეადგინა კიდეც გეოგრაფიისა, არიფმეტიკის, რიტორიკის, კატეხიზმისი, გრამმატიკისა, ღვთისმეტყველებისა, მეცნიერებისა, ლოგიკისა და სხ. შეკრიბა საუკეთესო მწერალნი და მოკანაბეს ხელქვეით ოცი და ოცდაათი კაცი ერთსა და იმავე ერის ბერებითა და ერცელებინენ სახელმძღვანელო წიგნები" - ბაბი ჩვენია. ე.ბ. (პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ისტორია საქართველოს ეკლესიისა. კათალიკოსნი და მღვდელთ-მთავარნი. ფილისი, 1900 წელი, გვ. 152). მაგრამ საკანგებო უნდა აღინიშნოს, რომ დღემდა ანტონის შრომების გადაწერა ხდებოდა, როგორც ჩანს, მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით, რამდენადაც ცნობილია, ჩვენამდე არ არის მოღწეული არც ერთი მისი შრომის ავტოგრაფული ხელნაწერი.

იმ ნაწარმოებია თუ ხხბუღებაია შორის, რომღებიც ასახავენ ქართული საღიტერატურო ენის ისტორიის ცანვითარების ცარკვეულ ეტაპს საკმაოღ ხანცრძღივი დროის ცანმავღობაში. ეს ენა თანამეროვე სპეციალურ ღიტერატურაში ცნობილია, როგორც "ენა ღღეცარსნილი, რთული წინაცაღებაია მოკრფიაღე, მიმღინობებით მდიდარი, ცმნებით ღარიბი, ცასაცებად ძნელი"[5]. ცასაცები უნდა იყოს ის ცანსაკუთრებული ინტერესი, რომელსაც, ვფიქრობთ, იმსახურებს ანტონის ყველა ნაშრომის ენა, გრამატიკა კი, ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ყველაზე ცამახასიათებელია, რაღგანაც ბუნებრივია, თავისი თეორიული ღებულებების პრაქტიკული ცანხორციელებას, ანტონი, პირველ რიგში, გრამატიკული ხასიათის ნაშრომებში ეცღებოცა.

"ა ნ ტ ო ნ ი კ ა თ ა ღ ი კ ო ზ ი ს ხელოვნური, სქოლასტიკური ენა და მეტადრე მისი გრამატიკული ტერმინოლოგიის თანამედროვე ტერმინოლოგიისაგან ცანსხვავებულობა, მისი ნაშრომის ცაკვებასა და ჯერთვან შეფასებას მეტად აძნელებს. ა ნ ტ ო ნ ი კ ა თ ა ღ ი კ ო ზ ი ს ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ ცამორკვეული იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი ცასაცები ცახღებოცა და ის ღეცნიც, რომელიც ქართ. ენის შესწავლაში მას მიუძღვის, უფრო ცხადი შეიქმნებოცა"[6].

---

[5] ა ო ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ქართული ენის ხოცადი ცახასიათება. - "ქართული ენის ცანმარტებითი ღექსიკონი". ტ. I. თბილისი, 1950, ძე. 021.

[6] ი ე. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ღ ი. ქართული და კავკასიური

ანტონ პირველის გრამატიკის პირველი რედაქცია დაიწერა 1753 წელს[7] სომეხი გრამატიკოსის მხითარ აბა სებასტიელის გრა-

---

ენების დავითპირველი ბუნება და ნაწესაობა. ტფილისი, 1907, გვ. 4-5. იხ. აგრეთვე: "ანტონ პირველის გრამატიკა ავტორის დედაენის ენის გამო ძნელია გასაგებად სპეციალისტისთვისაც კი, მაგრამ ესაა ყველაზე ვრცელი სასკოლო გრამატიკა ქართული ენისა (ქართულად დაწერილ გრამატიკათა შორის); მასთან ესაა არსებითად პირველი ქართული გრამატიკა (მ. შანშიაშვილის გრამატიკა 1737 წლისა ფრაგმენტული ხასიათისაა). ანტონის გრამატიკა საფუძვლად ედო ყველა ქართულ გრამატიკას მეთერამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდის. მისი გავლენა დიდზე დიდი იყო.

და ამას დავუმატებთ, რომ ანტონ პირველის გრამატიკა რიგი მოვლენის გაგებაში დვალსაჩინოდ განსხვავდება XIX საუკუნის მეორე ნახევრის სასკოლო გრამატიკებისაგან, გასაგები უნდა იყოს ინტერესი, რომელსაც ეს გრამატიკა ბუნებრივად იწვევს ქართული ენის დვალსაზრისითაც და ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიის დვალსაზრისითაც" (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ეს შენიშვნა ეკუთვის ე. ლ ე ჟ ა ვ ა ს, ო. ბ ე რ ი ძ ა შ ვ ი ლ ი ს, ე ლ. ბ ა ბ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა და მ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ნაშრომს: "ანტონ პირველის გრამატიკა XVIII ს. გრამატიკულ აზროვნებასთან დაკავშირებით", "სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული". წიგნი III. თბილისი, 1948, გვ. 24).

[7] ანტონის გრამატიკის ორივე რედაქცია მზად არის გამოსაც-

მატიკის[8] უშუალო გაგრძელებაა და გამოცემებიდ. ეს გარემოება რამდენჯერმე არის ხაზგასმული პირველ რიგში დეიდ ანტონის გრა-

---

მად, ამიტომ კვლევისას საშუალება გვქონდა გვეპარტებინა პირველი და მეორე რედაქციების რამდენიმე ნუსხიდ. რადგანაც პირველი რედაქციის ნუსხები შედარებით ცოტაა და მანაც ვარიანტული სხვაობები ამ ნუსხებს შორის ორთოგრაფიული და მორფოლოგიური ხასიათისაა (ამ რედაქციის სხვადასხვა ნუსხებში სახელად და ზმნად პარადიგმებში ერთი და იმავე ფუნქციური დატვირთვის ფორმებია ასახული) გაცილებით უფრო დიდია (ეს გასაგებიცაა: გრამატიკის მეორე რედაქციაში ანტონი არა ერთხელ აღნიშნავს, რომ პირველი რედაქციის დაწერისას მისთვის ეს მეცნიერება ახალი იყო, ეს იყო გრამატიკის დაწერის პირველი ცდა და ამიტომ ის ვერ იქნებოდა დაზღვეული შეცდომებისაგან და მერყევი ფორმებისაგან. ამ პირობებში არც ის არის გამორიცხული, რომ ფორმაც ნაირსახეობის არსებობაში ბრალი მიუძღვიდ გადამწერლებსაც, რომლებიც ძირითადად ანტონის მიმდევრები იყვნენ და მიდ უმეტეს ვერ ერკვეოდნენ ანტონისეული გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმების რთულ სისტემაში), ვიდრე მეორე რედაქციის ნუსხებს შორის (მეორე რედაქციის ნუსხები თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან), გადაჭარბებული იქნა ამ რედაქციის ყველა, მეტ-ნაკლებად სრული და სანდო ნუსხა. შვიდი - A 531, S 547, S 1115, S 2594, H 852, Q 881, Q 1387 - ინახება საქ. სსრ აკადემიის კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ერთი - E_8 - ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. A 531, S 2594, Q 1387 და E_8 ნუსხებს დაუყავდ ამ რედაქციის,

მატიკის ორივე რედაქციაში[9] და შემდეგ სამანათო სპეციალურ ლიტერატურაშიც[10]. ანტონის გრამატიკის მეორე რედაქცია 1767 წელს

უნდა ვიფიქროთ, დაწერის დასრულების თარიღი - 1754 წლის 9 მარტი. Q 1387 ნუსხას ამასთან ერთად შემოუნახავს გადაწერის თარიღიც - 1763. გადაწერის თარიღი აქვს Q 881 ნუსხასაც - 1764 (რიცა ანტონის გრამატიკის პირველი რედაქციის დაწერის თარიღად 1753 წელს ასახელებენ, ამის საფუძველს, როგორც ჩანს, თვით ანტონისავე სიტყვები იძლევა მეორე რედაქციის რამდენიმე აბზაცის, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, პირველი რედაქციის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ნუსხაში დაწერის თარიღად 1754 წელია დასახელებული, იქაც კი, სადაც გადაწერის თარიღი მერე ცალკეა ნაჩვენები. საეარაუდებელია, რომ ან ანტონის მიერ 1753 წელს დაწერილი გრამატიკის ავტოგრაფი არ შენახულა და ყველა ნუსხა გადაწერილია მისი ავტოგრაფიდან პირველად გადაწერილი ხელნაწერიდან, ან თვითონ ანტონი ვერ ასახელებს პირველი რედაქციის დაწერის ზუსტ თარიღს). სამ ნუსხას - S 547-ს, S 1115-სა და H 852-ს ზუსტი თარიღი არა აქვს და XVIII საუკუნისად თვლიან (როგორც პირველი, ისე მეორე რედაქციების ხელნაწერთა დაწერილებითი აღწერილობა წარმოძღვარება ანტონის გრამატიკის ნაბეჭდ ტექსტს). ძირითად, სამუშაო ხელნაწერად მიჩნეულია ხელნაწერი A 531 და ნაშრომში გრამატიკის ტექსტის ციტირებისას ის არის ხოლმე დამოწმებული.

8 Ν'ιι ιρωρ Աբաստպ ի. Քերականութիւն գրաբառի լեզուի հայկական սեռի ի Վենետիկ. 1730. შემდგომში ამ გრამატიკის ტექსტის ციტირებისას მითითებული იქნება მხოლოდ გვერდები.

9 ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ.

დაწერა[11]. გამოცემულია ს. ენისელის რედაქტორობით 1885 წელს[12].

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად უსვამდნენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ანტონის გრამატიკის

---

[10] А. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка. СПБ, 1881; ი. აბულაძე. ცნობა შიო რუსთაველის ისტორიული ხხზულების შესახებ. - "ენიმკის მოამბე", ტ.III. თბილისი, 1938; მისივე: ქართ. გრამატ. ლიტ.-ის არს. ძეგლები, გვ. 143; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ.I. თბილისი, 1960, გვ. 382.

[11] ვანახმად მეორე რედაქციის ნუსხებს ვამძღვარებული ვარიისა. ვაუგებარია, რატომ მიიჩნევს კ. კეკელიძე ანტონის გრამატიკის მეორე რედაქციის დაწერის ვარიად 1760 წელს (დასახ. შრ., გვ. 382).

[12] ანტონ პირველი. ქართული გრამმატიკა. თბილისი. 1885. ეს გამოცემა საკმაოდ ბევრ შეცდომას შეიცავს, ამიტომ აქაც ძირითადად მეორე რედაქციის ხელნაწერებზე (ამ რედაქციის ხელნაწერები, როგორც უკვე აღინიშნა, ბევრია, ამიტომ ყველას გათვალისწინება შეუძლებელიც იყო და არც იყო საჭირო. ამიტომ ამ რედაქციის ნუსხების არჩევისას მხედველობაში იქნა მიღებული ხელნაწერის შესრულების ვარიანი - უპირატესობა მიეცა შედარებით ადრე გადაწერილ ხელნაწერებს - და გადამწერების პროფესიული აუტორიტეტი) ხელნაწერს (H 984, გადაწერილია 1769 წელს; H 2066, გადაწერის ვარიანი უცნობია; H 2256, გადაწერილია 1769 წელს; S 419, გადაწერილია 1768 წელს) ვეძებეთ. საბუძვლო ხელნაწერად მიჩნეულია H 2256 ნუსხა და ტექსტის გამოცემაც მის მიხედვით ხდება.

პირველი რედაქცია მხითარის სომხურ გრამატიკას ეკუთვნის, მეორე კი პირველის შევსებულ-შესწორებული სახეა, მაგრამ, სამწუხაროდ, რაში გამოიხატება მხითარის ცვლილება ანტონზე, ან რა მიმართებაა მისივე გრამატიკის რედაქციებს შორის, ამის შესახებ დღევანდლამდე კონკრეტულად არაფერია თქმული.

წინამდებარე გამოკვლევა მიზნად ისახავს ანტონის გრამატიკის ორივე - პრველი და მეორე - რედაქციის დაწერილებითი განხილვისა და მათი ურთიერთმიმართების კვლევის საფუძველზე მისი გრამატიკული კონცეფციის არსებითი მომენტების ანალიზს და, შეძლებისდაგვარად, იმ წყაროების დადგენას, რომლებითაც სარგებლობდა ანტონი თავისი გრამატიკის შედგენისას.

ანტონის გრამატიკის რედაქციათა ურთიერთმიმართებისათვის

ამდაკვირვებულ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: დეიტონ ანტონი დაჟინებით უარყოფს თავისი გრამატიკის დაწერისას <u>მხოლოდ</u> სომხური გრამატიკის გამოყენებას არა მარტო მეორე, არამედ პირველი რედაქციის წინასიტყვაობაშიც. პირველ რედაქციაში ის ამბობს, რომ ამ მიზნით მან ლათინური ენის გრამატიკოსები მოიშველია (I,5), მეორეში კი ასახელებს ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის გრამატიკოსებს (II,Iv). ამ ასპექტში, ბუნებრივია, საკითხი ისმის ანტონის გრამატიკის მიმართებისა არა მარტო მხითარის გრამატიკასთან, არამედ ბერძნულ და ლათინურ გრამატიკებთანაც. მიუხედავად ამისა, ნაშრომში ანტონის გრამატიკის შედარება ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებთან ბედნიერად ჩავთვალეთ შემდეგი მიზეზების გამო: ცნობილია, რომ ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის სისტემას ემყარებოდა ევროპული ენების ყველა გრამატიკა და არ შეიძლებოდა ამ გავლენას ასცდენოდა მხითარიც, რომელიც ვენეციაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა[13]. ეს გარემოება, რომელიც

---

[13] პრინც. ი. აბულაძის აზრით, ის ფაქტი, რომ ქართველებმა სომხურ წყაროებს მიმართეს XVII-XVIII ს.ს.-ში, იმით აიხსნება, რომ სომხებს ამ პერიოდში უფრო მჭიდრო ურთიერთობა ქონდათ ევროპასთან. ეს ურთიერთობა "უთანაბრესად და პუნქტში დამყარდა. ერთს... ისპაჰანის ჯულა (Джульфа) წარმოადგენდა,

ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენია ანტონსაც, ამიტომ ძირითადი წყარო მისთვის ისევ ბერძნული-ლათინური გრამატიკების კვალად ცნობილი მხითარის გრამატიკა დარჩა (ბოქი განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, სადაც ის სხვა ენების გრამატიკებსაც იშველიებს). ბემოთქმულის ფონზე სრულიად გასაგები ხდება მისი განცხადება მეორე რედაქციის წინასიტყვაობაში, რომ თუმცა გრამატიკის მეორე რედაქციის ყველა სამი ნაწილი ახალი ძირნის მიხედვით იქნა პარაგრაფებად დაყოფილი, მაგრამ ამ გრამატიკის აღნაგობა ძირითადად ისევ მხითარის გრამატიკის მსგავსი დარჩაო (11,1v). ანტონის ეს სიტყვები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შეიძლება გავაერცელოთ გრამატიკაში საკითხების განხილვის წესზეც.

გრამატიკის ორივე რედაქციას ახლავს წინასიტყვაობები, სადაც ანტონი ლაპარაკობს მიზეზებზე, რომელთაც იგი აიძულეს დაეწერა გრამატიკის ჯერ პირველი და მერე მეორე რედაქცია. პირველი რედაქციის ერთ-ერთ თავს ასეც ეწოდება: "მიზეზი ჭელფისა ამის წიგნისა" (1,3r). ანტონს, როგორც ჩანს, ანუხებდა,

---

ხოლო მეორეს ვენეტიკი (Վենետիկ) იტალიაში...

დასავლეთთან ახლობელი ურთიერთობის გამო ახლო საუკუნეების მანძილზე სომხური საღიტერატურო წრეები ეცნობიან დასავლეთის გრამატიკულ მწერლობას, რამაც შესამჩნევი ბეჭედი დაატყო სომხურ გრამატიკას. სახე ეცვალა "ძველი გრამატიკის" (ე.ი. დიონისეს შრომის ან მათი კომენტარების მიხედვით გაწყობილმა) ყალიბზე ასხმულ შრომებს. მხითარ სებასტიელის... გრამატიკა... არის ამ მხრივ პირველი ყველაზე სრული ნიმუში ახალი ტიპის გრამატიკი-

რომ ძველი ქართველი ავტორების ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებებში გრამატიკული ხასიათის არც ერთი წიგნი არ ჩანდა (აქვე აღნიშნავს ამ საქმის სიძნელესაც: "კლდესცა დიდისა საქმისა კაცს, რაჲთა გაანიწყარებდეს თავსა თჳსსა". I,3v). დასახელებული ჰყავს ბევრი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ("იოანე გრძელისძე, წმიდა იოანე, მაშა ეფთიმისი; წმიდა ეფთიმი, წმიდაჲ არსენი, ნინოწმიდელი ეპისკოპოსი; ღირსი იოანე ხახულელი, რომელსა გედწოდებულ ჰქონდენ ოქროპირად; ნეტარი გრიგორი, რომელი გედწოდებულ იყო აბრაამ ახლად; ზაქარია მირიანის ძე, არსენი, მაგრა ესჳ არა იყალთოელი, არცა კათალიკოსი, არამედ სხუაჲ; გიორგი შევენებული, ილარიონ დიდი მუალელი, მოძღუარი გიორგი მთაწმიდელისა; წმიდაჲ გიორგი მთაწმიდელი, იოანე, პატრიკად ნამყოჲ; სტეფანე, გიორგი ოლთისელი, ვასილი ვაგრატის ძე ხახულელი და ესე საგონებელ მიჩნს ძედ მეფისად; იოანე საბოდოჲ, ფილასოფოსი, რომელსა ჩუსულ ვარჲ გედწოდებასა პეტრიწად; ნეტარი ეფრემ მცირე, თეოფილე ღირსი, არსენი იყალთოელი, იოანე ტაიქისძე და სხუანი მრავალნი". I,4r), რომელთა "... ნათარგმანებნი წერილნი მრავალნი ჰგიან დღეინდელად დღედმდე..., გარნა ღრამმატიკაჲ არა საჲა ვისმინეთ, არცა ნაშთჲა წიგნთა შინა მყოდ, შემდგომად ოკრებისა და არცა პირუცე, რაჲთა იყოფცა ჩუენსა გეჲა ენასა" (I,4v).

გრამატიკის პოვნა ძალიან უნდოდა ეახტანგ მეფესაც (ლეონის ძეს), საბა ორბელიანს, საბას ძმისწულებს, რომლებიც ანტონის დანაბერებში ეფიცებიან და, ბოლოს, ვახუშტისაც, ეახტანგ მეფის ძეს, "გარნა ვერ მპოებელთა და ფრიად მეუღონოეთა, იდესმე

სა" ი. ა ბ უ ლ ა ძ ე. ქართ. გრამატ. ღიტ.-ის ადრ. ძეგლები, გვ. 142 .

მოქალაქეობაზე ტფილისელი, რომელსაც არ ეარშიყებ ბაქარიად წოდებული ჰყოფენ, ევერებოდეს და ევერებიდა მათივა შეეხო ღრამმატიკისა გარემოარმნად. ხოლო იქამდე ჟამდა მეფისა არჩილისადა გარემოცვითი რადმე წოდებულ ყოფილ ღრამმატიკად, რომელი არა არს ღრამმატიკა, მაგრა რადცა იგი იონეს მეძიებელიდა, არ მიმოხულნი იქმნნეს" (1,4v). გრამატიკის კანონების აღმოჩენა სურდა აგრეთვე მეფე დეიმურაზ II-სა და მის შვილ ერეკლესაც, მაგრამ მაიაც არ შესწევდა ძალა ამისადვის და "მე, რადამცა ჩუენისა ენისა სიმარჯუე მქონდამცა მეცნიერებისა და მე ფრიად ფრიად არა მცირეი ძიებაჲ შემექმნიდის ამას ბედა და ეგონებდი ციურადაჲს ჩუენდა, დადგა ბრძანება იგი "იოხვეიდ და მოგეცესყე" (1,5რ).

რამდენიმე წლის შემდეგ ანტონმა გაიცნო "მღდელი ვინმე ნადესავი ერმანიანი (რომელ ჰაისიანი), სახელით ფილიპე ყაიდაზასმული, გუარითაცა აზნაური ქიდა დავადა ორბელიანთა სამთავროდაგანი" (1,5რ), რომელსაც ძალიან დაუმეგობრდა და მისი დახმარებით სხვა წიგნებთან ერთად გადაწყვიტა გრამატიკაც ეთარგმნა თუ დაეწერა.

ანტონი დავის დავს გრამატიკაში არაკომპეტენტურ პირთვნებად თვლიდა, მაგრამ ფილიპეს დახმარებით მას სწრაფად შეუსწავლია ორთორც მეფყველების ნაწილები და მათი კატეგორიები, ისე გრამატიკის საგნები, ბგერის, მარცვლის, სიტყვის, წინადადების რაობა და სინტაქსიც.

საინტერესოა, რომ ანტონის ცნობით, გრამატიკული საკითხების გაცნობა ხდებოდა არა მარტო სიმხური გრამატიკის საშუალებით: "ქარნა მეცა და იგი ფილიპე არა სიმეხთასა მარტო ვიკმარებით

გრამმატიკოსობასა, - ხაბი ჩვენია. ე.ბ. - არამედ ლათინთა გრამმატიკოსთაცა ეკითხევითი და წყიდ კამოძიებით მეცქუნი და მკითხუძლნი მათნი, დალთუ მათ არა იცოდეს ჩუძნ, ქართუძლთა, ენაჲ მარჯუჲ, მაგრა ჩუძნ კანუნისამებრ რა ეიკითხევითი, აღვე ჴუიძყმაკჴოფიან და მათ მიერ თქმულსაცა თან დავსდებით სიმხურსა თანა და ესრეთ კარგამოვიღებით" (1,5ჳ).

რა ქმა უნდა, დასძენს ანტონი პირველი რედაქციის წინასიტყვაობის ბოლოს მახვილგონიერად, ძალიან ძნელი იყო გრამატიკაში ყველა ქართული სიტყვის აღნუსხვა, მაგრამ, სამაგიეროდ, შეუძლებელია ისეთი ქართული სიტყვის პოვნაც, "რომელი არა შეიპყრასცა გრამმატიკამან ჩემმან" (1,6v)[14].

---

[14] ძალიან საინტერესო დებულებაა, ენის სისტემურ ხასიათზე მინიშნებით, ანტონის ენობრივი ინტუიციის დასაბასტურებლად, რადგანაც, როგორც ცნობილია, ეს დებულება ამოსავალია ყველა ენათმეცნიერისათვის (ე.წ. ტრადიციული ენათმეცნიერება ერთიანდება ამ შემთხვევაში სტრუქტურულ ლინგვისტიკასთან) ამა თუ იმ ენის კვლევისას: "ენაში ჩვენ გვაქვს წინადადებები, რომლებიც სიტყვებისაგან შედგება, ეს სიტყვები სხვადასხვაგვარად იცვლება, მაგრამ მათი ცვალებადობა ნებისმიერი კი არ არის, არამედ კანონზომიერია, ინდივიდუალური კი არ არის თითოეული სიტყვის მიმართ, არამედ სიტყვათა მეტი ან ნაკლები მოცულობის ჯგუფებს ეხება" (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ზოგადი ენათმეცნიერება. პრინციპული ნაწილი. I. თბილისი, 1952, გვ. 52); "ლინგვისტის მიზანია მისცეს სისტემას, რომელსაც იგი იკვლევს, არაწინააღმდეგობრივი, სრული და რაც შეიძლება მარტივი აღწერა. მან გა-

მეორე რედაქციის წინასიტყვაობაში ანტონი საჭირო დელის შეახსენებს მკითხველს, რომ გრამატიკა სიბრძნის კარია, რაგანაც გრამატიკა სწორად ლაპარაკისა და წერის ხელოვნებაა და სიბრძნის სიყვარული კი არ შეიძლება სწორად საუბრისა და წერის გარეშე.

ამის გამო ავტორი არ მორიდებია ორჯერ შრომას გრამატიკის შექმნისათვის.

გრამატიკის პირველად დაწერის მიზეზების შესახებ პირველი რედაქციის წინასიტყვაობაში იყო საუბარი, მეორედ კი ანტონს იმიტომ გადაუწყვეტია გრამატიკის დაწერა, რომ პირველ გრამატიკაში ბევრი რამ ლოდილა ქართული ენისათვის შეუსაბამო და გაბითლებულიც. მიზეზი გასაგებია: ანტონისათვის მაშინ ახალი იყო ეს მეცნიერება, ეს იყო გრამატიკის დაწერის პირველი ცდა და, ცხადია, ის შეცდომებისაგან ვერ იქნებოდა დაზღვეული.

რუსეთში ყოფნისას ანტონს ქართულად ბევრი წიგნი გადმოუღია, ფილოსოფიაშიც ძალიან დახელოვნებულა. ამის გარდა, რუსეთში "ვიკიდხვდი ელინურისა და ლათინურის და ფრანციულისა და იტალიანურისა და გერმანიულისა და რუსულისა ენაზე მეცნიერად[15], კვალად ვიდარიმე იყო ძუარი ხმარებად ნაწილთა სიტყვასაა და

მონაცემების გარკვეული რაოდენობაზე დაკვირვებით უნდა ჩამოყალიბოს სტრუქტურული წესები, რომელთა მაგაზე აღიწერება ყველა სხვა გამონაცემი მოცემულ ენაზე, რა უსასრულოც არ უნდა იყოს გამონაცემების რაოდენობა" (კ ა ნ ს ფ ო გ ტ ი. გვნურ ფონემაზე კლასიფიკაცია ქართულში. - "დბილისის უნივერსიტეტი ძიებანი ახლოვდიანს", გვ. 39-40).

სახეა მაღა ენაა მაღ შორის ქმნულა და მოშიგებიან და საცნურ ჩემა ყყვან. ესრეთ დაჴერებული იქმნა უმეტეს ძონება ჴერებისა ამის მიმართ" (11,1v).

ამ მიზეზების გამო ანტონმა გადაწყვიტა თავისი გრამატიკის ხელახლა "გამარტება" და წარმოადგინა კიდეც გრამატიკის მეორე, სამნაწილიანი რედაქცია. ანტონის ქმნით, ახალ გრამატიკაში განსაგრძნებლიანი რედაქცია. ანტონის ქმნით, ახალ გრამატიკაში გან

და მხედველობაში არ იქნება მიღებული ის დაკები და პარაგრაფები, რომელთა ან ამოღება ძახდა საჭირო, ან შეცვლა ("... და სამნიკე ნაწილნი ახლისა ცნობისაებრ პარაღრაფებითა ჭანეკარძენ დალაგე, მაგრა დაკნი მიხითარის ღრამმატიკისაებრეე - ხაზი ჩვენია. ე.ბ. - არიან ჭანკარგულ, ძარღა მისა, ნეკკე იყუნენმცა რომელნიმე, რომელნიცა აღებად საკმარ იყუნენ ესკარნი დაკნი, ანუ შესაკებად და მათ წილ დაღებად სხუანი". II,Iv).

პირველი რედაქცია შეგგება წინასიტყვაობისა და სამი ძირიდაკი ნაწილისაგან. პირველსა და მესამე ნაწილს დართული აქვს დაკ-დაკისი დამატებებიც.

მეორე რედაქცია, დაკისი მხრით, საკითხების ჭანლაგებია ძირითადად პირველს იმეორებს, იმ ჭანსხვაკებით, რომ ამ რედაქციაში ანტონს, სრულიად მართებულად აღარ შეუტანია პირველი ნაწილის დამატება[16].

სარჩევი ერთის მეორე რედაქციას, პირველს სარჩევი არა აქვს.

ვითარი არს, და რაჲ კაბრი მათი, და მაჲ მიერ ჴულისხმა ექსეგეტი დარგმანებითა ჭაბრიელისაჲ, და ესრეთ დაეჰსებები სიტყუაჲ და სიტყუაჲ შინა ღექსაჲ" (ციტირებულია სტატიიდან: ანტონი კათალიკოზის საღიტურგიკო მოღვაწეობიდან. - კ. კეკელიძე ე. ეტიუდები ძველი ქართული ღიტერატურის ისტორიიდან. თბილისი, 1957, გვ. 179-180).

16 ეს დამატება, ე.წ. "სიმეტნე", ტრამატიკის მოკლე კურსს წარმოადგენს, რომელიც ჭანკუთვნილი იყო, რომც ჩანს, სკოლებ-

გრამატიკის ორივე რედაქციის პირველ ნაწილში მხოლოდ საუბარია სახელთა ბრუნების, მწნების უღვლილებისა, დანერებულების, მწნიზედების, შორისდებულებისა და კავშირების ხმარებაზე.

პირველი ნაწილის დამატებაში მოცემულია ცნობები გრამატიკის შესასწავლი ობიექტის, არსებითი და ზედსართავი სახელების, ნაცვალსახელის, მწნისა და მიმღეობის კატეგორიებისა და დანერებულის, მწნიზედის, შორისდებულისა და კავშირის შესახებ. აქვე მოკლედ არის საუბარი შეთანხმებისა და მართვის სახეებზე და ფონეტიკისა და მართლწერის ზოგ საკითხზე.

მეორე ნაწილი ორივე რედაქციისა ეთმობა კვლავ გრამატიკის შესასწავლი ობიექტის გარჩევას, ოღონდ უფრო ვრცლად, ვიდრე ეს პირველი ნაწილის დამატებაშია. დაწვრილებითაა მიმოხილული და დახასიათებული ბგერები, მარცვალი, თითოეული მეფყველების ნაწილი და წინადადება. ისევ არის განსაზღვრული და დახასიათებული არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, მწნა, სახელმწნა, მიმღეობა თავისი კატეგორიებითურთ, დანერებული, მწნიზედა, შორისდებული და კავშირი.

მესამე ნაწილში ძირითადად გარჩეულია მართვა-შეთანხმების სახეები, მოცემულია წინადადებაში სიტყვათა განლაგების წესები და სამი სტილის თეორია (ეს უკანასკნელი საკითხი განხილულია მხოლოდ მხიტარიანი და ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციაში. მეორეში, რომელსაც ცნობილია, ანტონმა ცვლილება აუარა ნაწარმოები-

---

ში გამოსაყენებლად და კითხვა-პასუხების სახით არის გაწყობილი (ა. ც ა ტ ა რ ე ლ ი. დასახ. შრ., გვ. 3).

ვანი ენის თეორიის განხილვას).

შესამე ნაწილის დამატება მხიტარიანაც და ანტონიანაც ეძღვნება ფონეტიკისა და მარცვლერა-პუნქტუაციის ბოქ საკითხს.

თვითონ ანტონი პირველი რედაქციის წინასიტყვაობაში საკმაოდ დაწვრილებით ლაპარაკობს იმის შესახებ, რა საკითხებია განხილული მის გრამატიკაში: რვა მეცხვეულების ნაწილი დაწერა ქართულისთვის, წერს ანტონი, თავისი კატეგორიებით: 1. სახელი, რომლისთვისაც რვა ბრუნვა გამოიყო და სამი ბრუნება (ცალკეა განხილული თავისებური და კითხვითი სახელები), 2. ნაცვალსახელი (ჩვენებითი, კუთვნილებითი, მიმართებითი), 3. ზმნა, 4. მიმდეობა, 5. თანდებული, რომელიც ხან წინ დაერთვის სახელს და ხან ბოლოში[17], 6. ზმნიზედა, 7. შორისდებული, 8. კავშირი.

ამ გრამატიკაში სინტაქსური საკითხებიც არისო განხილული: "სახელი" ზმნისა, "ძიებანი" და "განმავითისებელნიც". გრამა-

---

17 ეს რევერანსია სომხურისა და, საერთოდ, იმ ინდოევროპული ენების მიმართ, რომლებზედაც ანტონს ხელი მიუწვდებოდა. ანტონმა იმის დქმა ვერ გაბედა, რომ ქართულში წინდებულები საერთოდ არა გვაქვს (რაღანაც იმ ენებში, რომლის მიხედვითაც ის წერა და თავის გრამატიკას, მხოლოდ წინდებულებია), მაგრამ მისი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა იხმარა ამჟამად ასე ფართოდ გავრცელებული ტერმინი "თანდებული" და თანაც სწორად აღნიშნა მეცხვეულების ამ ნაწილის თავისებურება ქართულში. ისე კი, რომ მისი გრამატიკა ნორმატიული გრამატიკის ტიპური ნიმუშია, იქიდანაც ჩანს, რომ ის თვითონ ყარიბად ხმარობს წინდებულებს თავის გრამატიკაში, აშკარად სომხურის ბა-

ტიკის ბიბლიაში კი საუბარია ქარაგმების სახეების, პროსოდიისა და ბგერებისა თუ ასოების შესახებ (ერთი ბგერა თუ ასო, ანტონის ტექსტით, მას დაუმატა ქართულ ანბანს).

თუმცა ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია აღნატრით მხითარის გრამატიკის თითქმის ზუსტი ასახვაა, მეორე კი ამ მხრივ პირველს მიჰყვება[18], შესაბამისი ნაწილებისა და თავების დასათაურების შედარება, ერთის მხრივ, მხითარის გრამატიკასა და, მეორე მხრივ, ანტონის გრამატიკის პირველ და მეორე რედაქციებს შორის, ცხადყოფს, რომ მიუხედავად დიდი მსგავსებისა, შეინიშნება განსხვავებაც. რაც, ვფიქრობთ, აიხსნება იმ გარემოებით, რომ ანტონმა მეტ-ნაკლებად შეძლო თავი დაეღწია სიმეტრი გრამატიკოსის კაბელენისათვის იქ, სადაც მას ქართული ენის გრამატიკული თავისებურებების გათვალისწინება უხდებოდა. ამის შესახებ კი უფრო დაწვრილებით და საფუძვლიანად გაგვაგებს მოცემული საუბარი.

ბაძვით. მაქციოსათვის შეიძლება დავასახელოთ თუნდაც ყველა თავის სათაური მისი გრამატიკის ორივე რედაქციაში: "<u>ესე</u> მეორისა ბრწყინვალებისა" (I,37r) ან: "<u>ესე</u> ნიგნისა" (II,62v).

[18] სრულიად ბუნებრივია, რომ რაღანაც საქმე ეხებოდა ნორმატიული გრამატიკის ერთ-ერთი ტიპიური ნიმუშის გადმოქართულებას, ავტორს კიდეც რომ დაენახა განსხვავება იმ ენასა და ქართულს შორის, ის ეცდებოდა ყველაზე ნაკლებ ეს გრამატიკის ადაპტაციაში გამოჩენილიყო.

ტრამატიკის რაობის ძაძებისა-თვის ანტონ პირველის ტრა-მატიკის მიხედვით

ანტონის ტრამატიკის პირველ რედაქციაში ტრამატიკის ორგვა-რი განსაზღვრაა მოცემული. ერთით: ტრამატიკა არის მეფეთეა და დამწერთა ცოდნა ("ტრამმატიკაჲ არს ცამოცდილებაჲ სიტყჳს მოქმედთა და აღმწერელთა ბედმიწევნილთა მიერი". I, 83ზ), მეო-რეთი: ტრამატიკა არის სწორად ლაპარაკისა და შეუცდომლად შე-ხმის ხელოვნება ("ტრამმატიკა არს ჴელოვნებაჲ წრფელმეტყუელებისა და უცთომელსმსა". I, 101ზ). ანტონის ეს უკანასკნელი განსაზ-ღვრა მისდევს ტრამატიკის მხითარისეულ განსაზღვრას: "ჩ̣ւրսկա-նագրիւն է արհեստ ուղղապէս խօսելոյ և անսխալաբար շարադրելոյ" (ქვ. 191, 221). რა დემა უნდა, მხითარის ეს განსაზღვრაც, თა-ვისი მხრივ, არაფრით არ განსხვაედება ყველა ევროპული, ლათინ-ური ფილოლოგიური ტრამატიკის კვალობაზე შექმნილ, სასკოლო-მეც-ნიერულ ტრამატიკებში არსებული განსაზღვრისაგან.

ამ განსაზღვრის პირველი ნაწილი (ტრამატიკა ხელოვნებაა) ტრამატიკას "ხელოვნების" სხვა დარგების რიგში აყენებს, წეს ანტონი მხითარისდაკვალად, მეორე ნაწილი კი (სწორად ლაპარაკი და შეუცდომლად წერა) განსაზღვრავს ტრამატიკის სპეციფიკას, რითაც ის განსხვაედება ხელოვნების სხვა დარგებისაგან.

მეორე რედაქციაში ტრამატიკის განსაზღვრა უფრო ნათელია: ტრამატიკა არის სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის უნარი ("ტრამმატიკა არს შემძლებელობა მარდეულობით და წესიერ წე-რაჲ". II, 62ზ). ანტონის აზრით (საუსებით მართებულად, სხვა-

თა შორის), ტრამატიკის ეს ტანსაცმელი არ ეწინააღმდეგება სხვა ძველი თუ ახალი (რა თქმა უნდა, "ახალი" ტრამატიკოსებში იგულისხმება ანტონის თანამედროვე ტრამატიკოსები), ტრამატიკოსების ტანსაცმელს.

სიტყვა "შემძლებლობას" (= უნარი. ე.ბ.), ტანატრძობს ანტონი მეორე რედაქციაში, ტანუსაცმელი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც უნარი შეიძლება იყოს შენაძენიც და თანდაყოლილიც, მაგრამ სწორად ლაპარაკისა და შეუცთომლად წერის "შემძლებლობა" ეძიჯნება ყოველგვარ სხვა, შენაძენსა თუ თანდაყოლილ, უნარს.

ტრამატიკის ნაწილებია (ე.ი. ტრამატიკის შესასწავლი ობიექტებია) ორივე რედაქციის მიხედვით: 1. ასო ("წიგნი", 1,101ა; 1,62ა), 2. მარცვალი, 3. სიტყვა ("ლექსი", 1,101ა; 11,62ა) და 4. წინადადება ("სიტყვა", 1,101ა; 11,62ა) - "ტრამმატიკა ტარემეცულქოფს თეს შორის ოთხთარე ნაწილთა უმთავრესთა, რომელთაცა აქა მოიკსენებთ: 1. წიგნი, 2. მარცვალი, 3.ლექსი, 4. სიტყუა" (11,62ა).

რადგანაც ტრამატიკული ხელოვნების საქანი[19] არის ტრამატიკის მიერვე სწორი და მოწესრიგებული[20] აღმიანის მეტყველება,

---

[19] პირველ რედაქციაში "საქანი" აღნიშნულია სიტყვით "წინაჩამოგებანი" (1, 101ა), რაც შესაბამისი სიმხური ტიტარკაჯ (= "საქანი") ტერმინის სიტყვასიტყვით ქართულად შეიძლება: ტიტ="წინ" + ტარკაჯ (←ტარკანა) = "დაგება", "ჩამოგება".

[20] "... რამეთუ წინაჩამოგებანი ტრამმატიკას ჴელოვნებისანი არიან ზრახვანი კაცობრივნი, რომლისა მიერ სამმარტულობაცა და

გრამატიკის ცნების ისტორიული ევოლუციის ანტონ პირველის გრამატიკის მიხედვით

ანტონის გრამატიკის პირველ რედაქციაში გრამატიკის ორგვარი განსაზღვრაა მოცემული. ერთით: გრამატიკა არის მეცნიერება და დაწერა ცოდნა ("გრამმატიკაჲ არს ცაჲმოცდილებაჲ სიტყჳს მოქმედჲა და აღწერილჲა ბერძინულენიდჲა მიერი". 1, 83ზ), მეორეთი: გრამატიკა არის სწორად ლაპარაკისა და შეუცდომლად შეხმების ხელოვნება ("გრამმატიკა არს ჴელოვნებაჲ ნერჩელმქმაბისა და უცთომელსჳსა". 1, 101ზ). ანტონის ეს უკანასკნელი განსაზღვრა მისდევს გრამატიკის მხიტარისეულ განსაზღვრას: "Grammatica scientia recte scribendi et absque offensa loquendi" (ტვ. 191, 221). რა დემა უნდა, მხიტარის ეს განსაზღვრაც, თავისი მხრივ, არაფრით არ განსხვავდება ყველა ევროპული, ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის კვალობაზე შექმნილ, სასკოლო-ქვეყნიკურ გრამატიკებში არსებული განსაზღვრისაგან.

ამ განსაზღვრის პირველი ნაწილი (გრამატიკა ხელოვნებაა) გრამატიკას "ხელოვნების" სხვა დარგების რიგში აყენებს, წერს ანტონი მხიტარისადკვალად, მეორე ნაწილი კი (სწორად ლაპარაკი და შეუცდომლად წერა) განსაზღვრავს გრამატიკის სპეციფიკას, რითიაც ის განსხვავდება ხელოვნების სხვა დარგებისაგან.

მეორე რედაქციაში გრამატიკის განსაზღვრა უფრო ნათელია: გრამატიკა არის სწორად ლაპარაკისა და წესიერად წერის უნარი ("გრამმატიკა არს შეძლებელობა მარგებლობით და წესიერ წერაჲ". 11, 62ზ). ანტონის აზრით (საუბედუროდ, სხვა-

თა შორის), ტრამატიკის ეს განსაზღვრა არ უნიანაკლებებს სხვა ძველი თუ ახალი (რა თქმა უნდა, "ახალი" ტრამატიკოსებში იგულისხმება ანტონის თანამედროვე ტრამატიკოსები), ტრამატიკოსების განსაზღვრას.

სიტყვა "შემძლებლობას" (= უნარი. ე.ბ.), განაკრძობს ანტონი შემდეგ რეაქციაში, განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც უნარი შეიძლება იყოს შენაძენიც და დანატკლიც, მაგრამ სწორად ლაპარაკისა და შეუცდომლად წერის "შემძლებლობა" ემიჯნება ყოველგვარ სხვა, შენაძენსა თუ დანატკლიც, უნარს.

ტრამატიკის ნაწილებია (ე.ი. ტრამატიკის შესასწავლი ობიექტებია) თვით რეაქციის მიხედვით: 1. ასო ("წიგნი", 1,101ჩ; 1,62ჩ), 2. მარცვალი, 3. სიტყვა ("ლექსი", 1,101ჩ; 11,62ჩ) და 4. წინადადება ("სიტყვა", 1,101ჩ; 11,62ჩ) - "ტრამმატიკა ძარეშესულტოს თეს შორის ოთხთარე ნაწილთა უმთავრესთა, რომელთაცა აქა მოვიკსენებთ: 1. წიგნი, 2. მარცვალი, 3.ლექსი, 4. სიტყვა" (11,62ჩ).

რადგანაც ტრამატიკული ხელოვნების საკანი[19] არის ტრამატიკის მიერვე სწორი და მოწესრიგებული[20] აღმიანის მეტყველება,

---

19 პირველ რეაქციაში "საკანი" აღნიშნულია სიტყვით "წინაჩამოდებანი" (1, 101ჩ), რაც შესაბამისი სიმბული ანალიზის (= "საკანი") ტერმინის სიტყვასიტყვით გადმოთარგმნის შედეგია: ანა="წინ"+არკა (←არკანა) = "დადება", "ჩამოდება".

20 "... რამეთუ წინჩამოდებანი ტრამმატიკას ჴელოვნებისანი არიან ბრძანებანი კაცობრივნი, რომლისა მიერ სამმართულობისა და

რომელიც შეიცავს მრავალი სიტყვისაგან, სიტყვები, თავისი მხრივ, მარცვალთაგან, ხოლო მარცვლები კი ასოებისაგან, ამიტომ ისინი გრამატიკული ხელოვნების შემსწორებელ და მომნესრიგებელ[21], მთავარ ნაწილებად უნდა ჩაითვალოს. არამიანის მეფეებად, განაგრძობს ანტონი, უმეტესი შეიცავს სხვადასხვა სიტყვათაგან, რომელნიც ურთმანეთთან გარკვეული წესის მიხედვით არიან დაკავშირებულნი. ამიტომ გრამატიკული ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის სიტყვათა მრავალფეროვნებას და მათი ურთიერთდაკავშირების წესებს.

სიტყვების მრავალფეროვნება სისტემად იქცევა[22] ორგვარი საშუალებით: 1. მათი ბრუნება-უღლილების მარტივად შესწავლით, რომელსაც ეს გრამატიკის პირველ ნაწილში იყო ნაჩვენები და 2. მათი თვისებებისა[23] და კატეგორიების შესწავლით (ამის შესახებ

<u>სამეცნიერონი</u>" (1,101). შდრ.:"ჩი ითარკაყ არჩიაფრი ჭიერაკანდრეანი ეჩა ხაიჭ ნარდკაყინიჭ, ეყფ ორიმ იშჭიჩიჭ და კარგაიორიჩიჭ" (გვ. 221).

21 "მმართველად და მმწყსად" (1,101ზ). მხითარიან: "აით'ი იშჭიჩ და კარგაიორიჩ" (გვ. 221). ძაუძებარია, რატომ ახრჩობს ანტონი სომხურ იშჭიჩ-ს, რომელიც ნიშნავს "გასწორებას", "გაპირდაპირებას", "განრიგებას", "მართვის" მნიშვნელობით.

22 "სისტემად იქცევა" ანტონიან "განაკანონებს" (1,101ზ) სიტყვით ძალიანაც მხითარიან შესაბამისად გაუქვს կանոնաւորէ(გვ. 221) = "წესრიგში მოჰყავს", "სისტემაში მოჰყავს".

23 მხითარის կարկուրին = "თვისება", ანტონს უთარგმნია

გრამატიკის მეორე ნაწილშია საუბარი), ხოლო სიტყვაშეკავშირების წესებს კი შეთანხმება-მართვის კანონები შეისწავლის და ეს კანონები მოცემულია გრამატიკის მესამე ნაწილში.

ყველა ამ წეს-გრამატიკული ხელოვნება შეიცავს. შეგირდისათვის ანტონს მიაქვს ასეთი მაგალითი (ეს მაგალითი მხოლოდ-დანაც არის): ყოველი ქონიერი ხურო, პირველ ყოლისა, სხვადასხვანაირ მასალას მოამზადებს სასახლის ასაშენებლად, შემდეგ ასწავლის /დავის ხელქვეითებს/, რომ უნდა გასწორდეს და გაწაწილდეს ეს მასალა და ბოლოს კი იმის კანონებს იძლევა, რომელი რომელს უნდა შეუერთდეს და შეეწყოს. მხოლოდ ამ კანონების გამოყენებით აშენებენ ამ ხუროს ხელქვეითი ხუროები და კალატოზები მშვენიერ სასახლეს. ასევე: მთარგმნელები, რომლებიც გრამატიკას სწავლობენ, მხოლოდ მაშინ შეძლებენ სწორად ლაპარაკსა და შეუცდომლად წერას, ე.ი., მხოლოდ მაშინ გახდებიან გრამატიკოსები (ქრამმატიკოსნი, რომელა მქერვლნი"[24], I,101v), როცა კარგად შეისწავლიან გრამატიკის ყველა კანონს და ამ კანონების

ურთიერთ: რომის "საკუთარი" და რომის "განწესებული": "და მეორე მოძღვრებაჲ საკუთართაჲს, განწესებულია და მდევარია მათთაჲს" (I,101v), რაღანაც ქართ. "საკუთარსაც" ნიშნავს.

[24] ანტონის "მქერვლი" ალბათ სომხური ტექსტია: ჩարդիրն ნიშნავს "გრამატიკას", ე.ი. "მქერვლი" - "გრამატიკოს": "Ранняя, т.е. библейская школа армянской письменности слово ჯრთიმატიკოს передавала совершенно правильно через դպրություն, грекофилы же придумали новое слово իրական под влиянием, как увидим, греческой этимологии слова ჯრთ-

მიხედვით ქამოიყენებენ ლაპარაკისას და წერისას სახელს, ზმნას და მეტყველების სხვა ნაწილებს.

მეორე რედაქციაში ეს აღგილი ცოტა სხვაგვარად და ახლებურად არის ფორმულირებული. გრამატიკის საქანი, წერს ანტონი, არის ადამიანის მეტყველება („ქებაობანი კაცობრივნი". II,62ა), რომელიც დავისტვად იყოფა ორად: საუბრად და წერად. მეტყველება წინადადებისაგან შედგება, წინადადებები - სიტყვებისაგან, სიტყვები - მარცვლებისაგან და მარცვლები - ასოებისაგან. ამრიგად, გრამატიკის მთავარი ნაწილებია: ასო, მარცვალი, სიტყვა და წინადადება.

წინადადებები სიტყვებისაგან შედგებიან, მაგრამ სიტყვები ერთმანეთს სხვადასხვანაირად უკავშირდებიან. საჭიროა, რომ სიტყვები ერთმანეთს ქარკვეული წესის მიხედვით დაუკავშირდნენ და შეუთანხმდნენ, რომ წინადადებები ისინი წესიერად გაფორმდნენ - ბრუნვაში იქნებიან ეს სიტყვები, თუ ულებარი - მესაბამის რიში, კილოში და სხ.

μαστική. Им же принадлежат выражения ϕιλολογία, ϕιλόλογος со значением ποιεῖν, ποιητής, ποίημα... В употреблении армянских авторов термин ϕιλόλογος означает не только поэта, но и грамматика. Второе значение, пожалуй, преобладает: "ϕιλόλογός որ գիտէ զառաւելս բանիւ գիտէ", то есть, кердол тот, кто знает частности речи", говорится в комментарии Моисея. У Давида и последующих схоластов ϕιλολογικὸν употребляется в смысле филологический (Н. А д о н ц. Дионисий Фракийский и армянские толкователи."Bibliotheca Armeno-Georgica. IV". Петроград, 1915, стр. XXII- XXIII).

ასე აიგება სიტყვიერი მასალისაგან სხვადასხვა მეცნიერების სასახლე, ან მეფუტკრეობისა და წერის ხიდნარიდა ყვავილებიდ მშვენიერი წაღკოტი, სადაც კაცობრიები ძოწის საბიედ წყარის დაუფლებული მატლუნიერი ადამიანების აზრი გაისვენებს. ეს სამი წყარია საგნების („ნიედდა". II,62v) ძირნა, საგნების მიზეზების ძირნა და ამ მიზეზების გაბრძენისა და რაიერნობის ძირნა. ყველაფერ ამას განაგებს გრამატიკული ხელოვნება.

რიტორც პირველ, ისე მეორე რედაქციაში ამ მსჯელობის შემდეგ გარჩეულია ასო, მარცვალი, სიტყვა და წინადადება, მაგი რაობა და დანიშნულებაი[25].

---

[25] დაწვრილებიდ ამ საკითხებს ქვემოდ მიეუბრუნდებიდ.

ფონეტიკა და ორთოგრაფია

ფონეტიკური და ორთოგრაფიული საკითხები ანტონის გრამატიკაში, სრულიად ტასატები მიზეზების ტამო – ასევე ეს ყველა ფილოლოგიურ გრამატიკაში – ისე მჭიდროდ არის ტაბაზარიული ერთმანეთთან (უმეტესობა ნშინდა ფონეტიკური საკითხებისა თანამედროვე თვალსაზრისით, ორთოგრაფიაშია ტანხილული და პირიქით), რომ მათი ტამიჯნა ჭირს და არც არის მიზანშეწონილი, რადგანაც წინაალმდეტ შემთხვევაში ეს არ იქნება ამ საკითხებზე ანტონის შეხედულების ასახვა და თანმიმდევრულიც არ ტამოვა. ამიტომ ორთოგრაფიული საკითხების შესახებ ამავე თავში იქნება მსჯელობა (ზოტიერ ფონეტიკურ საკითხებთან დაკავშირებითაც) და არა ცალკე, როტორც ეს მოსალოდნელი იყო.

გრამატიკის ძირითად ნაწილებზე საუბრისას მოცემულია ასოს თუ ბგერის (ანტონის ტერმინით "ნიტნი", "ასო"), როტორც გრამატიკის ერთ-ერთი ნაწილის განსაზღვრა.

პირველი რეაქციის მიხედვით "ნიტნი არს ლრამმი[26] რაზეც მდგოებული მნიშვნელად ასოსა" (1,83ზ, 101ვ). მხითარის განსაზღვრაც ასეთივეა: "ფ|ირჩა ჯ ფ|ი3 ი|ნჯ' կայուկჯაკაო'ი ჩქაჩარ|ქ կ|ოაოჩა"(ფვ. 193, 222), ხოლო "ასო" იოარტმანებისა კავშირად[27].

---

26 შდრ.: ბერძნული γράμμα = "ასო".

27 ეს აღგილი ანტონს მხითარის ნაბაძვით აქვს ტაღმოებული. სომხურში կոտ = "ასო", կարր = "ელემენტი". მხითარს, როტორც ჩანს, უსარგებლია ამ ორი სიტყვის ტარეტნული მსგავსებით, რომ შემდეტ ტაეტართა ასეთი მსჯელობა: "եւ բարւոք ասի կոտ, կամ

ესე არს აღმოჩენაჲ რაჲმე წებითი[28] და ნაწევრობითი[29], რომელთაცა ძალ აღმოჩენად კაცთა" (1,101ᵛ). შდრ.: "ხე ფრაჩჩ'ორ ևս սրուգաբանի ֆրոր.ჯ ჩჩეჯուՏև իՀէ ևէգէէի և ქოჯէէի.ცր կարէև սրֆաՀՀէէ Տարդիֆ" (ძვ. 222).

ამრიგად, "წიგნი" (ასო) თითქოს "ასოს" (ბგერის) აღმნიშვნელი ნიშანია ანტონის მიხედვით, თუმცა საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ანტონს ისევე, როგორც ყველა მის თანამედროვე გრამატიკოსს საერთოდ, უყურებს ბგერისა და ასოს (ე.ი. წარმოთქმულისა და დაწერილის) ურთიერთისაგან გამიჯვნა და ამიტომ

ფրոր.ცի որպէս ֆրոէրֆ էշև սկզբունֆ ՏարՏևոչ.այկպէս և սոֆիև էշև սկզբունֆ ֆայևիչ" (ძვ.222) - ხაზი ჩვენია. ე.ბ. ეს მსჯელობა ანტონთანაც გადმოიღო: "ხოლო კეთილად უკუ იწქვა ასიდ, ანუ კავშირად, რამეთუ ვითარცა კავშირნი არიან დასაბამნი სხეულთანი, ესრეთვე ესენიცა არიან დასაბამნი ჴმათანი" (1,101ᵛ) - ხაზი ჩვენია. ე.ბ. ეს აღგილი მეორე რედაქციაშიც არის ცოტა შეცვლილი სახით: "ასონი უკუ იწოდა ძუძლთაგან ფრანგმატიკოსთა, ვითარმედ რეცა წებითი რაჲმე, ვითარ იგი ასონი, რომელნიცა სჭეხიონი, ე.ი. ცეხლი, ჰაირი, წყალი, ქუყანა, არიან დასაბამნი და მაწარმოენი სხეულთანი, ეგრეთვე ასონი არიან დასაბამნი და მაწარმოენი ჴმათანი" (11,62ᵛ).

[28] "წებითი" სომხური ჩէգէէի -ს თარგმანია, ჩէգէէ კი "ასოების შეერთებას" ნიშნავს, ე.ი. ჩէգէէի = "ასოებთან შეწყობის უნარის მქონე".

[29] ე.ი. ურთიერთ შეწყობის უნარის მქონე.

მისი გრამატიკის ორივე რედაქციაში ტერმინები "წიგნი" და "ასო" ხშირად აბსოლუტური სინონიმები არიან როგორც ბგერის, ისე ასოს მნიშვნელობით[30].

ასო, ანტონის აზრით, იმდენი უნდა იყოს ენაში, რამდენი ბგერაც სჭირდება ამ ენას წარმოთქმის დაკისებურებათა შესაბამისად. ქართულისათვის ჩვენს წინაპრებს 39 ასო დაუძებნიათ ამდენივე ბგერის აღსანიშნად. ანტონს კიდევ ერთი ასოს (ჴ-ს)[31] დამატება მიუჩნევია საჭიროდ, რადგანაც ორი დანხმევნის დაკვირვებისას ეს ჴ "გამოცემულ აღმოჩენისა არს" (1,102ჳ), ე.ი. წარმოითქმისო.

შემდეგ ჩამოთვლილია, ანტონის აზრით, ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა ბგერა, დალაგებული ანბანის რიგზე (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, ნ, ჟ, ო, პ, ჟ, რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ)[32].

---

30 "ანტონი ცდილობს განასხვაოს "წიგნი" და "ასო": "ასო არს წიგნი შემძლებელი ნაწევრობითისა ხმისა"..., მაგრამ ხმის ("ხმა") შემოტანა განსაზღვრებაში არ ცვლის საქმის ვითარებას: უმარტივესი ერთეული არის წიგნი, "ხმები", ე.ი. ასო. სხვანაირი დასკვნა ვერ გაკეთდება, რაკი შესწავლის საგანია ს ა ბ ე რ ი ენა" (ა რ.ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. იბერ.-კავკ. ენის შესწ. ისტორია, ტ. 93).

31 ეს ასო ანტონმა აშკარად სომხურის გავლენით შემოიღო ქართულში. ამის შესახებ დაწვრილებით იხილე: ა. შ ა ნ ი ძ ე. ანტონი პირველის გავლენა საეკლესიო ქართულზე, ტ. 9-16.

32 რა ექმა უნდა, დანაშენარევ დეალსაზრისით ანტონის მიერ

ანტონის თქმით, დაწერილ ბგერებს ეწოდებათ "წიგნნი" ან "ტრამმნი", ხოლო წარმოთქმულს, თანაც სხვა ბგერებთან კავშირის გარეშე, "ასო" (1,102ჳ). ბგერად ჩაითვლის აუცილებელი პირობაა მისი ცალკე, სხვა ბგერებთან კავშირის გარეშე წარმოთქმა: ან და ბან კომპლექსები ბგერები არ არის, ა და ბ კი ბგერებია, ა უფრო ადვილად წარმოსათქმელი, ვიდრე ბ. ამ მსჯელობის ბოლო წანილს ანტონი მიჰყავს ბგერების ხმოვნებად და თანხმოვნებად დაყოფამდე, რადგანაც 40 ბგერიდან, მისი აზრით, 8 ხმოვანია: მათი წარმოთქმისას ხმა წარმოიქმნება სხვა ბგერებთან კავშირის გარეშეც და "გარეშე პირსა კაცისასა სცემენ ჰაირსა" (1,102ჳ). ესენია: ა, ე, ი, ო, უ, ჲ, ჱ, ჳ. დანარჩენი ("ნადაშნი", 1,102ჳ) ბგერები ძნელი წარმოსათქმელია სხვა ბგერებთან დაუკავშირებლად: "ძნიად სცემენ ჰაირსა ბაგეთა გარემო, ანუ ენისა, ანუ ჴორკისა, ხოლო გარეშე პირისა არა სცემენ ჰაირსა" (1,102ჳ). ამიტომ იწოდებიან "ჴმოდ" (თანხმოვნები), რადგანაც ხმას გამოიღებენ მხოლოდ ხმოვნებთან შეერთებით ("რიმელისათვის ჴმანი იწოდებიან ჴმოდ, ე.ი. კრთეითა ჴმოვანთა თანა ასოთა მიმცემელნი ჴმისანი". 1,102ჳ). ესენია: ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, კ, ლ, მ, ნ, პ, ჟ, რ, ს, ტ, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, წ, ხ, ჰ, ჭ, ჴ, ჯ.

ხმოვნები იყოფა გრძელ: ჲ, ჱ, ჳ, მოკლე: ჭ, ჴ და "შუა" ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებად. თანხმოვნებში ბოლო "კერძო" ხმოვანი (სომხ. կ|ո - ասձաչկ = "ნახევარხმოვანი") ჰქვია, რადგანაც წარმოთქმისას ოდნავ ხმას გამოიღებენ: ზ, ჟ, ხ, ჴ, ღ, შ, ს, ვ, რ, ჭ.

დასახელებულ ასოებად, ყველა არ არის ბგერა, თუნდაც იგივე ყ ან ე, ან ჯ.

ბოლო "უჯმია" (სომხ. ան ჯაչ = "უხმო", რადგანაც ძველ მაღალ წარმოდგმისას ჯაერი დაუსუფთავებლად არ ამოდის, მაგ.: ბ, ძ, ღ, დ, კ, მ, ნ, ჟ, ტ, ფ, ქ. ბოლო კი გაორკეცებულია ("მრრობლაკი", 1,102v. შდრ.: სომხ. կրկնակ = "გაორკეცებული"), რადგანაც ორი დანიშნულების ძალა აქვთ: ღ, წ, ძ, ჭ, ჩ, ხ, ყ, ც[33].

მეორე რედაქციაში ეს ნაწილი უფრო ვრცელია და ბევრ ადგილზე ძალიან განსხვავებულიც პირველისაგან, რაც, პირველ რიგში, ბგერისა და ასოს მიმართების საკითხში ვლინდება.

მეორე რედაქციაში ანტონი წერს, რომ: "წიგნი არს ღრმაი, ნაკუწი რადმე, მნიშნულნი ყოველისა წერილისა" (11,62v), ხოლო "ასო არს წიგნი, შემძლებელი ნაბეჭდობითისა ხმისა" (11,62v).

ანტონი დელის, რომ ეს არის "ახალი... განსაბეჭდებად ჩუენი" (11,62v), მაგრამ აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ეს განსაბეჭდი არ ეწინააღმდეგება მხითარის განსაბეჭდის იმ ნაწილს, სა-

---

33 ეს აღწერი ანტონს მხითარის გრამატიკიდან აქვია, მხითარი კი ბერძნულს მისდევს: სომხ. կիսաձայն იქნება, რაც ბერძნული ἡμίφωνον = "ნახევარხმოვანი" ან "სონანტი", სომხ. ան ჯაչ კი იქნებ ბერძნ. ἄφωνα = "ყრუ ან ხშული ბგერა". აღვნიშნავთ, ამით ითქმება, რომ არც მხითართან და არც ანტონთან დასახელებული ბგერები ვერ აკმაყოფილებენ საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით (მაგალითად, "კერძო" ხმოვნებში ანტონს ჩამოთვლილი აქვს არა მარტო სონანტები, არამედ ბგერები და ყრუ ბგერებიც. გაუგებარია აგრეთვე, რატომ მოხვდა ც და ყ ბგერები გაორკეცებული დანიშნულების რიცხვში). დანამატრიგე ტერმინოლოგიით პირველი ორი ("კერძო" და "უჯმო") რიგის ბგერები ერთმანეთს უპირისპირდებიან ნაპრალოვნება-ხშულობით.

და ნაქვამია: "ასი იოარმანებისო კაეშირად, ესე არს უკუნ არმოიხრუა რამე ნებიი და ნანევრობიი, რომლისაცა ძალუცს არმოიხრუად კაცთა" (11,62ვ).

მიუხედავად ანტონის მტკიცებისა, ეს განსაგლერა განსხვავება მხიტარის გრამატიკისა და ე.ი. ანტონის გრამატიკის პირველი რედაქციის შესაბამის ნაწილში მოცემული განსაგლერისაგან და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მეორე რედაქციაშივე ანტონის შემდეგი მსჯელობიდან:

"განისაკუთრეს უკუნ დუთიულმან ნაღესავმან რაიერნიმე ასონი, ხოლო ასოდა ეიტყვ, რომელნი შემძლებელ არიან ნანევრობით ხრუად და დაჰსძინნეს მას ზედა ნიტნნი ჴმონი ეგზომნი, რაიერნიცა ჴმარებიდეს ენასა მასსა. ხოლო ენამან ჩუნ, ქართუკლდამან, მიიღო პირუკლიდგან ჩუნთა ხრევისადეს სანანევრობასა ასონი ხუთნი, მით რომელ მაშინდელდა მოძღუარდა ხუთნი იერენ ჴმიანნი ასაჭიროენეს ენასა სუფდა ქმნილსა ფარნავაზისაგან ქართლისიანისა, პირუკლისა მეფისა ქართუკლდასა: ხოლო დაჰრთნეს მას ზედა ნიტნნი ჴმონი, რიცხვით ოცდაათითხმეტნი" (11, 62ვ) - ხაზი ჩვენია. ე.ბ. შემდეგ: "ესენი უკუნ, რომელნიცა არიან ჴმონი, იქმიან ნიტნად და ბრჭყუდ, რომელდაცა ზედა ნიშანნი ესე სიბრჭყუისანი დაგვისხმენ, ანუ ღრამად ჴმიდ, არადე არა რადმესა მნიშნუკლობისადეს, არამედ დავით თესით ეენ ტამიდებისადეს ჴმისა" (11,63ჳ) - ხაზი ჩვენია. ე.ბ.

ამრიგად, მეორე რედაქციაში მოცემულმა "ახალმა განსაგლერამ" ის ნაწილი დებულება, რომლის მიხედვითაც "ასი" იყო წარმოდგენილი ბგერა, ხოლო "ნიტნი" კი მისი დაწერილი ნიშანი - ასი, საკმაოდ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი გახდა: "ნიტნი" არის "ღრამში",

ე.ი. დაწერილი ნიშანი, "ასო" კი "წიგნი" ნარმოქმნილი, მაგრამ ამასთან ერთად: ნარმოქმნა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით მხოლოდ ხმოვნისა შეიძლება, ამიტომ "ასო" არის მხოლოდ ხმოვანი, "წიგნი", "ბერჯგუ"[34], "ერამმი უჯმო" კი მხოლოდ თანხმოვანი, რადგანაც ის ვერ გამოსცემს ხმას[35].

რაც შეეხება ბგერების აღმნიშვნელ ნიშანთა რაოდენობას, მეორე რედაქციაშიც ანტონი ანბანის რიგზე განსხვავებით 40 ნიშანს ჩამოთვლის (აქაც სიამაყით აღნიშნავს რომ ე ქართულში მისი შემოღებულია, ოღონდ ჱ ხმოვნის მაგივრად აქ ჲ-ს გამოყენებს - სრულიად სამართლიანად ხმოვნების რიცხვს ყ-ს უმატებს).

მეორე რედაქციაშივე ანტონს თანხმოვნები დაყოფილი აქვს ნარმოების ადგილის მიხედვით[36], ოღონდ: რადგანაც, მისი აზრით, თანხმოვნები მარტო ხმოვნებთან შეერთებისას გამოსცემენ ხმას, ამ თანხმოვნებს ის ამა თუ იმ ხმოვანთან შეერთებულს განიხილავს ბ, მ, პ, ფ (ა ხმოვანთან კავშირში) ბაგისმიერი თანხმოვნებია: "ბაგეთა ურთიერთას შეხებითა გამოიღებიან" (11,გვ.).

---

34 იხ.: ა. შ ა ნ ი ძ ე. ანტონი I-ის გავლენა..., გვ. 20.

35 ვფიქრობთ, ამ მსჯელობის შემდეგ შეუძლებელია გაბიარებული იქნეს მოსაზრება, რომ "წიგნი" ანტონთან "არის ერთი, ნაკვეთი რაიმე, მნიშვნელი ცნების (მნიშვნელობის) უმცირესი ნაწილისა" (ა. ფ ი ც ხ ი შ ვ ი ლ ი. ანტონი პირველი და მისი გრამატიკა თანამედროვე ენათმეცნიერების თვალით. -"ლიტერატურული საქართველო". 1970, 20 მარტი, გვ. 3-4).

36 იხ.: ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართ. და კავკ. ენათმეც. ბუნებაზე..., გვ. 114-116; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ჩვ.-კავკ. ენათა შესწ. ისტორია, გვ. 90, 94.

ტ, ქ, კ (ისევ ა ხმოვანთან კავშირში) ხორხისმიერი თანხმოვნებია: "ცამოიღების მსაჭირეები არა ფრიად ჭორკისა ჭმარებისა" (11,63ზ).

ღ, ტ, ფ (სხვადასხვა ხმოვანთან შეერთებით) კბილისმიერი თანხმოვნებია: "მახლობელ კბილთა სასისა მიმარტ მცირედრე ფართით შეხებითა ენისა მწუხრუალისაჲა ცამოიღებიან" (11,63ზ).

ვ (ი-სთან შეერთებული) აგრეთვე ბაგისმიერია, თუმცა, რიტორც ცანსაზღვრიდან ჩანს, ანტონი ცანასხვავებს ამ ბგერის წარმოთქმას ბ, მ, პ, ფ ბგერების წარმოთქმისაგან: "ბაგეთა შინაგან მცირედრე მჭირსედ ურთიერთას მახლობელ ყოფითა ცამოიღების" (11,63ზ).

ზ, ს, ც, ძ, წ (სხვადასხვა ხმოვანთან შეერთებული) ნინასასისმიერებია: "მწუხარე შეხებითა სასისა მიმარტ ენისა მწუხრუალისაჲა ცამოიღებიან" (11,63ზ).

ღ, ნ (ა-სთან შეერთებით) ნინასისისმიერებია: "მცირედრე ფართით სასისა მიმარტ ენისა მწუხრუალისა შეხებითა ცამოიღებიან" (11,63ზ).

ჟ, შ, ჩ, ჯ (სხვადასხვა ხმოვანთან შეერთებული) აგრეთვე ნინასასისმიერებია: "სასისა მიმარტ მქისედ და ფართით შეხებითა ენისა მწუხრუალისა ცამოიღებიან (11,63ზ).

ლ, ხ, ყ, ჰ (ა-სთან შეერთებული) ხორხისმიერი ბგერებია: "ჭორკისა მქისედ ჭმარებისა მსაჭირეებნი ცამოიღებიან" (11,63ზ).

ჶ (ა-სთან შეერთებით) ბაგისმიერი ბგერაა: "ბაგეთა შინაგან არა ფრიად შეხებითა ცამოიღების" (11,63ზ)[37].

---

37 ანტონის სიტყვები, რომ ვ და ჶ ბგერები "ბაგეთა... არა

რაც შეეხება ხმოვნებს, ანტონი ამბობს: "ასოთაგეს, რომელნიცა არიან საკუთარ ჴმოვან და რომელნიცა არა საკუთარ, დაჴსნეთ რაოდენნიმე სიმკაცრენი უმკუცხრეს ტუხმებად მიწაფეთა" (11,63ბ)[38].

ა, ე, ი, ო, უ "უგრძესრე არიან თჳჴმოვან" (11,63ბ). ყ, ჲ, ჳ, ჴ "არა არიან თჳჴმოვან, არამედ ჴმოვანთა დანა შეერთებითა ხორვე და ჴმოვანთაებრ მაკეთ მარცუალთა და მაუღებელ ჴმნათა" (11,63ბ).

ანტონის ეს მსჯელობა ცხადყოფს, რატომ ჩაითვალა მან ყ, ჲ, ჳ და ჴ ხმოვნებად: 1. მათ შედგენილობაში ხმოვანი შედის, 2. ისინი მარცვალს ქმნიან, 3. ჴმნების "მაუღებელად" ქამოყენებიან (ჴმნების "მაუღებელი" კი მხოლოდ ხმოვანი უნდა იყოს. ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ).

საკუთრივ ხმოვნების (ა, ე, ო, უ, ი) წარმოქმის შესახებ ანტონი არაფერს ამბობს, ოდონდ სპეციალურად აღნიშნავს, რომ უ არ არის ქართული ენისათვის დამახასიათებელი ხმოვანი: ო და უ-ს შეერთებით წარმოდგება ისეთი, როგორც ბერძნულში Υ ომიკრონისა და ეპსილონისაგან[39].

ფრიად შეხებითა" და "ბაგეთა... ურთიერთის მახლობელ ყოფითა" (11, 63ბ) წარმოთქმისთ, შეიძლება მიუთითებდეს ამ ბგერების ნაპრალოვნებაზე.

38 ე.ი. ხმოვანი ისევ "ასოა" და არა "ნიშანი"!

39 "ძველ ქართულში მართლაც ცალკე ნიშანი უ-ს თვის არ მოიპოვებოდა, უ გადმოცემოდა ორი ნიშნით: ოუ: ასო არა ჰქონდა უ ბგერისთვის; ანტონი კი ამბობს უ არა აქვს ენასაო: იგულის-

სამაგიეროდ, ანტონი ე.წ. "საშუალებოვნების" წარმოების აღგილის შესახებ მსჯელობს შემდეგნაირად:

ლ "ჯმა რაჲმე ჴორცისა მჭირსე ცოფიჲა ე̲ დანა შეურთებული უბრჴჳს ე̲ იხრვის" (11,63v).

მ̲ "ჯმა რაჲმე ჴორცისა მჭირსე ცოფიჲა უბრჴჳს ი̲-სა იხრვის" (11,63v).

ნ̲ "ბაჴჳებისა შინაჯანჲა კურძოჲა მჭირსე შეხებიჲა უბრჴჳს ი̲ იხრვის" (11,63v).

ჲ̲ "ჴორციჲ ჯაჲი მჭირსერე იხრვის" (11,63v).

შემდეგ ანტონი აღნიშნავს, რომ ფუძა ქ̲-ს "ჴორცისა მჭირსე ცოფიჲა ქ̲ დანა შეურთებული უბრჴჳს ქ̲ იხრვს" (11,63v) და მ̲-ს "ჴორცისა მჭირსე ცოფიჲა მ̲-სა დანა შეურთებული იხრვს" (11,63v), მაგრამ ეს ორი ბგერა (ქ̲ და მ̲) მარცვალს ვერ ქმნიან და ხმოვნებად არ ჩაითვლებიან[40].

ხმება ასე დამწერლობაში (და არა ბგერა ენაში)" (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. იბერ.-კავკ. ენათა შესწ. ისტორია, გვ. 94).

პირსა და რიცხვში, თავის წინ ან შემდეგ მოითხოვენ ბრუნებად სახელს, რომელსაც ჰმნის "ძიება" (I,166v), სომხურში "ხაჭერი ბაჯი " (ბვ. 389) ან "საძიებო" (II,122ზ) ენოდება. ეს არის ჰმნის მიერ მართული სახელი ("მიჰკვდილი სახელი". I,166v) იმ ბრუნვაში, რომელიც ჰმნის ბუნებას შეესაბამება.

ნინადებაში შეიძლება შეგვხვდეს ნათესაობითში მყოფი ისეთი სახელებიც, რომლებიც არც "უფალი" (ე.ი. მმართველი) სახელებია, არც "საძიებოები" (ე.ი. მართული სახელები) და არც გეთსართავები, არამედ ზემოთქმული "უფალი" და "საძიებო" სახელების განსაზღვრებები ("განმრჩევი და განმათვსებელი". I,167ზ; "ჩაყორჩოლაჲ და ჯატკაყოლყიჲ". ბვ. 390; "თქმული ნანილნი სიტყვანი, მთხოვნელნი და მიმღენი ბრუნვლთანი, გარდა მიღებულია ბრუნუათა, ჰსჭურეც მრავალჯერ, ვითარმედ დაკუსთებულ არიან სიტყუათა შინა სახელნი ნათესავობითად ბრუნვლნი, რომელნი არა არიან უფალ, არცა საძიებო და არცა ზედშესრულ; ესტუარნი უკუმ სახელნი ნათესავობითნი ბუნებისამებრ სიტყუსა თხოვიც არიან <u>განრჩევად</u> სახელთა ანუ უფალთა, ანუ საძიებოთა ნათესავისამებრთა ანუ ბუნებისამებრთა". II,123ზ. - ხაზი ჩვენია. ე.ბ.). ბრუნებისას მსაზღვრელი სახელი ნათესაობითში დარჩება, ხოლო საზღვრული ("განთვსებული". I,168v;"ჯატკაყოლყიჲ ". ბვ. 392) იბრუნვის.

და კავშირით შეერთებული სახელები წინადადებაში ერთგვარი ფუნქციით გამოიყენებიან (წინადადებაში: "<u>მახვლმან</u> და <u>ცუსხობამან</u> და <u>განძარცუამან</u> და <u>დაქცევამან</u> აღსპო ჟოლას შინა <u>მკვდრობანი</u> და <u>შუსნიერ შენებულებანი</u> და <u>ერმრავლობანი</u>", პირველი ოთხი ჰმნის "უფალი" სახელებია, ხოლო სამი უკანასკნელი კი - ერთი

ფუნქციით არის მართული ბმნის მიერ).

ერთისა და იმავე საქმის აღმნიშვნელი და ერთსა და იმავე ბრუნვაში მყოფი, და კაუშირის მარეშე მეორთებული სახელებიდან ერთი მეორის მსაზღვრელია ("მასაჩინოე". 1,95ზ//"მაცხადე". 1,168ზ; "ჩაყაყყჟჩჱ". გვ. 391) და პირველი რედაქციის მიხედვით ხან ეთანხმებიან ერთმანეთს ბრუნვაში და ხან არა. მეუთანხმებლობის მიზეზია საზღვრულის თანხმოვანფუძიანობა. მსაზღვრელი ნრფელობითშია (სიმონ პეტრე, სიმონ პეტრესი). თუ მსაზღვრელი ხმოვანფუძიანია, ორივე იბრუნვის (დედისა ქალწულისა). ბოლო ხმოვანი მოკვეცილი აქვს (ევფრატ მდინარისა).

ნათესაობითში დასმული სახელი შეიძლება ბმნის მიერ იყოს მართული (რადსაც ნელსაცხებელი ესე არა განისყიდა <u>საშასის დრაჰკნის</u>), ან სხვა რომელიმე სახელის "ძიება" იყოს (წინადადებაში: "ვეფრე იქმნა შემყუარებელ <u>სიმშვიდისა</u>, აღმრჩეველ <u>ჯეთიდა</u> და განმგებელ <u>მორჩილთა</u>", ნათესაობითში მყოფი სახელები ნრფელობითში მყოფი სახელების "ძიებებია", რომლებიც, რა თქმა უნდა, სხვა ბრუნვებშიც შეიძლება იყოს).

მოქმედებითი გვარის ბმნები სახელებს მართავენ მიცემით და შემასმენლობით (მეორე რედაქციაში ნრფელობითი, რადგანაც შემასმენლობითი ფორმით იგივე ნრფელობითია) ბრუნვებში. ეს არის ე.წ. "ძიება ნათესავისა" (1,169ვ)//"ძიება ნათესავისამებრ" (11,124ზ), მხითართან "ჩაჩჲჲ ააჲჩ" (გვ. 394) (აღექსანდრემან მოჰკლა <u>კლიტოს</u>; შევიყუარე <u>იაკობი</u>; მამამან ღმერთმან გამოაბრწყინუა <u>ძენ</u>; უფალმა განაჯმო ღეღვ). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მხითარის მიხედვით ჩაჩჲჲ ააჲჩ მხოლოდ შემასმენლობით ბრუნვაში დგას,

ასე რომ ანტონის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან შეამჩნია სომხურის შემასმენლობითი ბრუნვაში მართული სახელისათვის შესაბამისი ორი ფორმა ქართულში: მიცემითი და შემასმენლობითი, იმიტომ წრფელობითი (ჩაჩქირ ალიკ სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც პირდაპირი დამატება)[229].

"ნათესავისამებრ საძიებოს" შემასმენლობითი (ველის. წრფელობითი) და მიცემითი ბრუნვები ასე ნაბილდება: მოქმედებითი გვარის ზმნები თხრობითი კილოს აწმყოსა და ნამყო უსრულში სუბიექტური წყობისას[230], უკუთქმით ბრძანებითში (II პირის ფორმებში), ბრძანებითი კილოს მყოფადში და ნატვრითი ან პირობითი კილოს აწმყო-მყოფადსა და ნამყო უსრულში "ნათესავისამებრ საძიებოს" მიცემით ბრუნვაში მოითხოვენ. თხრობითი კილოს ნამყო სრულსა, უსრულესსა, უსრულესსა და მყოფადში (ველის. კავშირებითში), ნართქმითი ბრძანებითის აწმყოში (II პირის ფორმებში), წართქმითისა და უკუთქმით ბრძანებითში (III პირის ფორმებში), ნატვრითი ან პირობითი კილოს ნამყო სრულსა, უსრულესსა და უსრულესში კი - წრფელობით (ველის. შემასმენლობით) ბრუნვაში.

გამონაკლისია: ობიექტური წყობის[231] ზმნები, რომელთაცა ან-

---

229 Զ ա կ ո բ Ն. Ո ւ խ ւ ր ա ր է ա ն. Աբբահայր Ուխտրար Աբասփայու շարադիւսական ընթդհումներր.- "Բազմավէպ". Ժէ. Հազարե. Venise, 1969, թիւ 1-3, 83. 53.

230 "რომელნიცა პირუცხისა მებრ პირისა უკმოდსა მიერ, რომელ ვ, პიროვნებიან..." (II,124v).

231 "რომელნიცა პირუცხისა მებრ პირისა პიროვნებიან უკმოდა ამით, რომელ ც" (II,124v).

მყოში "საძიებო" წრფელობითში აქვთ (მკრნამს უფალი)[232] და, ანტონის ძაძებით, მეორეგვარი ნამყო უსრული, სადაც "საძიებო" აქრეთვე წრფელობითშია (შევიყუარი უფალი).

ენებითი გვარის ზმნებს "ნათესავისამებრ საძიებო" ყოველივის, ყველა დროსა და კილოში და ყველა პირში, დაწყებით ბრუნვაშია (პირველი რედაქციის მიხედვით მოქმედებითშიც, რადგანაც ქართულში მოქმედებითი და დაწყებითი ბრუნვები ხშირად ენაცვლება ერთმანეთს).

ანტონი ორივე რედაქციაში აღნიშნავს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებს "ნათესავისამებრ საძიებოებს" გარდა "ბუნებისამებრ საძიებოებიც" (1,170v; 11,125v) აქვს. მხედართან: "ხანჯიი ბჭობეან" (გვ. 395), რომელიც სომხურ გრამატიკულ ტერატურაში კვალიფიცირებულია როგორც ირიბი დამატება[233].

ანტონით ეს "საძიებო" ვნებითი გვარის ზმნებთანაც იხმარება. გრამატიკაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ "ნათესავისამებრ საძიებო" ზმნას მხოლოდ ერთი შეიძლება ჰქონდეს "ბუნებისამებრ საძიებო" კი - რამდენიმე. ბოგჯერ ზმნა სახელს დანებებულის მეშვეობით მართავს, ან, როგორც ანტონი ამბობს: "მიდებული მეშვეობით მართავს დანებებულისაო". 1,171v).

---

232 საინტერესოა, რომ ანტონისთვის ე.წ. საკუთრივ ინვერსიული ზმნებთან სახელობითში დასმული სახელი "საძიებოა" (ე.ი. დამატებაა) და არა ქვემდებარე. შდრ.: ა. შ ა ნ ი ძ ე. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში. - "ძველი ქართული ენის კათედრის შრომები". 7. თბილისი, 1967, გვ. 220.

233 ვ. ა. ა ხ ა ლ ც ა ი ა. დასახ. შრ., გვ. 53.

მაძაღლების მიხედვით (ტიფასებს მტილსა ათასის ღრაჭუნის; აუნყებს სიფყუასა ღღესა; აღიყუანებს მას სასუფეველად; უხედებს სოკრატის ბრძნად; აღასრულებს აღთქმასა ღმრთისადმი; ღალადებს ტაძრობას ღმრთისა მიმართ; აღამაღლებს მას სიტლახისაგან; განგუნმელს ჩუქნ ცოდვისაგან; ბრძანებს სარწმუნოებასა სიყუარულისა თანა; აღაშენებს ეკკლესიასა კლდესა ზედა; აყუჩრებს მოყუასსა წინაშე ჩუქნსა) ცხადი ხდება, რომ ანტონს "ბუნებისამებრ საძიებოდ" მიაჩნია როგორც უბრალო დამატება, ასევე გარემოებებიც.

არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც ერთი "ბუნების ძიების" გარდა მეორესაც მართავენ. (აღგიყუანს შენ ქუჩქანით ზეცად).

"ძიებები" (ჱღვ. "საძიებოები" ან "ძიებულნი") საშუალი გვარის ზმნებსაც აქვთ. (თუმცა შეიძლება არც ჰქონდეთ საერთოდ), ხან ერთი, ხან ორი. ეს "ძიებები" მხოლოდ "ბუნების" არიან როგორც "ხატმოქმედებით", ისე "ხატვნებით" ზმნებთან.

პირველ რედაქციაში ანტონი მხითარისდაკვალად თვლის, რომ ზმნასთან ზმნის განუსაზღვრელი კილოს[234] ხმარება "აყენებს" (ე.ი. ხელს უშლის) ამავე ზმნასთან "საძიებოების" გამოყენებას, რაღგანაც მოქმედებითი გვარის ზმნას წინადადებაში ხშირად "ძიე-

---

[234] ნუ დაგვავიწყდება, რომ პირველ რედაქციაში ანტონი კარგად ვერ არჩევს ერთმანეთისაგან ზმნის განუსაზღვრელ კილოს, ე.წ. "უჩინოს" (რომელიც მეორე რედაქციაში საწყისია ვითარებით ბრუნვაში) სახელზმნისაგან ან "ნაკლზმნისაგან" (რომელიც მეორე რედაქციაში საწყისია ვითარებითი ბრუნვის ნიშნის გარეშე).

ბა" კი არ მოსდევს, არამედ ბმნის განუსაზღვრელი კილო, რომელიც თვითონ მოითხოვს "ძიებას" (იონადაბ აღუთქუა ძეთა თვსთა არა სმვა ღვინისა; მამამან შენმან გამცნო შენ ჯერმა კერძინსა შინა). ანტონი იძულებულია პირველსავე რეპლიკაში აღიაროს, რომ ა) ბოძჯერ წინადადებაში ბმნის განუსაზღვრელი კილოს არსებობის მიუხედავად, ბმნები მაინც მოითხოვენ "ძიებებს". ასეთ შემთხვევაში ბმნის განუსაზღვრელი კილო ამ "ძიებებს" მოსდევს (ძუასნრაფებების ჩუქნ ჯერომუად საყდარსა) და ბ) ბოძჯერ ბმნის განუსაზღვრელი კილო თვითონ გამოიყენება ბმნის "ძიებად" "ნაკლებმნად ძალღონითა" (I,175ჳ) (იხყო სნავლა). მეორე რეპლიკაში კი ანტონი კატეგორიულად ეწინააღმდეგება "სხუათა ღრამმატიკოსთა უწინარესთა ჩუქნთა" (II,127v), რომ ბმნებთან "ნათესავისამებრ საძიებოს" ხმარებას სახელბმნა ბღუდავს. მისი აზრით, ეს დებულება ვერ ასახავს ქართულისათვის დამახასიათებელ ფაქტიურ ვითარებას. ანტონის მსჯელობა მეორე რეპლიკაში ამ საკითხის შესახებ ასეთია: რადგანაც სახელბმნას სახელისათვის ნიშანდობლივი ყველა კატეგორია აქვს, იგი შეიძლება წინადადებაში ბმნების "უფლადაც" მოქცეულიყოს და "საძიებოდაც". სახელბმნის "საძიებოდ" გამოყენება სხვა "საძიებოების" ხმარების შებღუდვა კი არ არის, არამედ სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ("ვინაჲცა არა ესე საძიებოთა სახელბმნისა ძიება ყოფა, არამედ შესაფერ მჰსგავსიერ და ჯეროვან". II,127v), ე.ი. სახელბმნა შეიძლება იყოს ბმნებთან "ნათესავისამებრ" ან "ბუნებისამებრ საძიებოების" როლში. ბმნებმა "ნათესავისამებრ" და "ბუნებისამებრ საძიებოებად" შეიძლება მოითხოვონ ბმნის განუსაზღვრელი კილოც ("რომელ არიან ბმანი უჩინოჲსამებრ სქესისანი". II,128ბ)

და მიმღეობებიც, რაღგანაც სახელის თვისებები მათაც აქვთ.

ზმნის განუსაზღვრელი კილოს ფორმებს აგრეთვე შესწევთ იმის უნარი, რომ მართონ სახელები სხვადასხვა ბრუნვაში, მაგალითად, ანმყო დროის ზმნის განუსაზღვრელი კილო მოქმედებითი გვარისა "ნათესავისამებრ საძიებოდ" მართავს წრფელობით, ნათესაობით და მიცემით ბრუნვებში დასმულ სახელებს (ქრისტეანეთა კეთილმსახურება თანა აძსთ დაცულად მცნებანი ქრისტეს ღმრთისანი; ყოველითა სულითა, ყოველითა ძალითა და ყოველითა გონებითა თანა გუამს შეყუარებად წმიდისა <u>ღმრთისა</u> და მოყუასთა; ვინცათ ამიერითგან ყოველთა თავნი ჩუენნი მიცემად <u>ღმრთისა მიმართ</u>).

საშუალი გვარის ზმნის განუსაზღვრელი კილო მართავს სხვადასხვა ბრუნვებში დასმულ სახელებს (შენ გენება ჴრომად <u>სავარძელ-სა ზედა</u>) მას ენებება გალობად <u>შაირნი</u> შოთასნი და ამას განსუჩნებად <u>ძილითა</u>).

ვნებითი გვარის ზმნის განუსაზღვრელი კილო სახელს დანყებით ბრუნვაში მართავს (მოვიდა იესუ იოანესა ნათლისღებვად მისგან).

სახელზმნები "საძიებოდ" მოითხოვენ ნათესაობითში დასმულ სახელს, რომელიც ამავე დროს ამ სახელზმნის "განმათვსებელიც" არის (ბრძანა ათასისთავმან შეყუანება <u>მისი</u> ბანაკად; მოკლდა უსჯულოება <u>შენი</u>, ასული სიონისაო).

მიმღეობების მიერ სახელების ბრუნვაში მართვის საკითხი ორივე რედაქციაში საკმაოდ დაწვრილებით არის განხილული.

პირველ რედაქციაში ანტონი აღნიშნავს, რომ მიმღეობას წინადადებაში ზმნის თვისებები აქვს, მას ენაცვლება და ზმნის პირობითი კილოს მსგავსად წინადადებას უსრული სახეს ანიჭებს (მხილუალი იესო ერისა მის; ხილული თქუმნი).

ორივე რედაქციაში განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ მიმღეობები სახელების მსგავსად შეიძლება გამოვიყენოთ ზმნების "უფლად" და "საძიებოდ". პირველ რედაქციაში დამატებით ნათქვამია, რომ მიმღეობები იხმარებიან "განმათვსებლებად" და ბედსართავ სახელებად.

ამ ბოლო მსჯელობის შემდეგ დანურიებით არის განხილული ყველანაირი დაბოლოების (ულ, ცლ, ულ, ელ, ლი, სა-ად, ელი, დი, მმ, რი, არი, არე, უარე, ად...) მქონე მიმღეობების სახელების მიერ ბრუნვაში მართვა (მიმღებელი ტაკუკისა...; კაცი, მიმღებელი მაღლისა ჩემგან, მეძიებელი სწავლისა შენგან და მომსპობელი შიშისა გულისაგან, შეიპყრვა; ესე არს ჭეშმარიტად მაცხოვარი სოფლისა ქრისტე; მჯობარე ქალაქსა ამას შინა მოკუდეს...).

მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღეობები პირველ რიგში "ნათესავისამებრ საძიებოებს" მოითხოვენ და შემდეგ "ბუნებისამებრ საძიებოებს", საშუალი გვარის მიმღეობებს კი მხოლოდ "ბუნებისამებრ საძიებოები" აქვთ.

სახელებს სხვადასხვა ბრუნვაში მართავენ ბედსართავი სახელებიც (და ე.წ. "შორისი" სახელებიც, რომლებიც მნიშვნელობით არსებითი სახელებია, ფუნქცია კი ბედსართავი სახელებისა აქვთ).

ბედსართავ სახელებს, რომელნიც ზმნებისაგან არ არიან ნაწარმოები და თვითონაც არ ძალუძთ ზმნა აწარმოონ, "ძიება" არა აქვთ (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, ღმრთისმსახური, დავითიანი, გვირგვინოსანი, სამეუფო).

ზმნისაგან ნაწარმოები ან ისეთი ბედსართავები, რომელთაც აქვთ უნარი ზმნა აწარმოონ, "ძიებებს" იმავე ბრუნვაში მოითხოვენ, რომლისაგან ნაწარმოები ზმნები, თუმცა სხვა ბრუნვა-

შიც შეიძლება მართონ "ძიება" (კაცთმოყუარე მათ შორის; კაცთმოყუარებია ბუნებით; უკრესი მათგან; უკრესობია მათ გენა).

ბოლოს ანტონი იძლევა შესიტყვებაში მეზყვეულების ნაწილთა განლაგების ასეთ სქემას: 1. ზმნის "სახელი", 2. თუ საჭიროა, მისი გენსართავი, 3. გენსართავი სახელის "ძიება", 4. თანდებული, თუ საჭიროა, 5. თანდებულის "ძიება", 6. ამ "ძიების" გენსართავი, თუ საჭიროა, 7. ზმნიზენა, თუ საჭიროა, 8. ზმნა, 9. ზმნის "ძიება" (შესაძლებელია, თანდებულიანიც), 10. "ძიების" გენსართავი. თითოეული სახელს შეიძლება ერთვოდეს აგრეთვე ე.წ. "განმათვსებელიც", რომელიც წარმოადგენს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ არსებით ან გენსართავ სახელს (1. ჩინებული ქორწილისა საღმრთოდსანი 2. ჯრჩეული 3. მჭსჯავრითა ჭეშმარიტითა ღმრთისათა 4. შემდგომად 5. შემოსისა სამოსლისა საქორწინოდსა 6. დაუყენებლად 7 შევაღნ 8. სასძლოსა შინა ბეცისასა 9. ნმიდასა).

რა თქმა უნდა, განაგრძობს ანტონი, წინადადებაში ყოველთვის არ იქნება ყველა ზემოჩამოთვლილი მეზყვეულების ნაწილი, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს: 1. ზმნის "სახელი", 2. ზმნა და 3. ზმნის "საძიებო ბუნებისამებრ" ან "ნათესავისამებრ" (1. კურთს შეაერთა სკიპტრად; 2. კურთს შეაერთა სკიპტრად მრავალთა მეფობათა; 3. კურთს პირუსლმან შეაერთა სკიპტრად მრავალთა მეფობათა ერთ მონარხიად; 4. კურთს პირუსლმან, ძემან სპარსთა მეფისამან, გამოცდილმან მჯელარმან სიმჯნითა დიდითა შეაერთა სკიპტრად ლიდიისა, სირიისა, ხალდეველისა, მიდიისა, სპარსეთისა, ეგვპტისა და მრავალთა სხუათა აზიის შინათა ერთ მონარხიად).

წინადადებაში პირველად უნდა მოინახოს, რომელია და სად არის

"სახელი ბმნისა" და ბმნა, შემდეგ ბმნის "საძიებო ბუნებისაებრ" და "ნათესავისაებრ". უნდა გაირჩეს და მოიძებნოს ზედსართავი სახელები, გაირკვეს, რომელ არსებით სახელებს ერთვიან, რაღგანაც ხშირად ზედსართავები გათიშულია არსებითი სახელებისაგან. შემდეგ უნდა მოიძებნოს მიმართებითი ნაცვალსახელები და მისამართი სიტყვები, ნაცვალსახელები (უნდა დაღგინდეს, რომელ სიტყვას ენაცვლებიან) და, ბოლოს, უნდა გაირჩეს "განმავსებელი" "ძიებაობაგან".

ორივე რედაქციაში ანტონს ამ დავალებისით გარჩეული აქვს მრავალი წინადადება[235].

მეორე რედაქციაში ანტონი იხილავს საკითხს "ფრასის" ანუ "წერილის" ანუ "ბრახვს" (11, 150ვ) სამგვარად დაყოფის შესახებ.

პირველ სახეს ეწოდება "ლაკონიკა" (11,150ვ), რაღგანაც სიტყვები ცოტაა, "ძალი" კი - მაღალი და დიდი.

მეორეა "აღიტორიკა" (11,150ვ), რომელშიც არც ისე ცოტა სიტყვებია, რომ აზრი ბნელი და ბუნდოვანი გახდეს და არც ისე ბევრი, რომ მაღალი "ცნობა" (11,150ვ) შეილახოს.

მესამეა "აზიატიკა". ფრაზას სიმაღლე არა აქვს, მაგრამ უხვია და მშვენიერი.

მართალია, განაგრძობს ანტონი, წინადადების აზრი უნდა შეესაბამებოდეს არა მარტო გრამატიკულად, არამედ მჭერმეტყველების წე-

---

235 საილუსტრაციო მაგალითების დამოწმების საშუალებაა, სამწუხაროდ, არ არის. საჭიროა მხოლოდ აღინიშნოს, რომ ანტონი პირველ რედაქციაში ყველა მაგალითს განმარტავს, ან, როგორც დვითონ ამბობს "განამარტივსიტყუებს" (1,182ვ). შდრ.: მხითარის "պարպաշխ" (ძ3.449): պարպ ="მარტივი"+ա+լսանէ ="თხრობა".

სების თვალსაზრისითაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენ არ ძვეხებაო.

ამით თავდება სინტაქსური საკითხების განხილვა ანტონის გრამატიკაში.

სამი სტილის თეორია ანტონის მრავალტიკაში

მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებით ანტონმა მთელი საუკუნით განდევნა მწერლობიდან ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ახალი ქართული სალიტერატურო ენა. ანტონმა შემოიტანა და დანერგა საქართველოში ე.წ. "სამი სტილის თეორია", რომელიც მანამდე გავრცელებული იყო აღმოსავლეთისა და სავლეთის ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოსთან ისეთ მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებშიც, როგორიც იყო რუსეთი და სომხეთი.

იყო თუ არა ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის გამოყენების შემთხვევები ანტონის წინარეობინდელ ქართულ მწერლობაში? ამ საკითხზე პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დაწვრილებით იქნება შესწავლილი ყოველი ქართველი მწერლისა და მთარგმნელის აღგილი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. მანამ კი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ისტორიაში მკაფიოდ გამოიყოფა ორი ძირითადი საფეხური (ე.წ. ძველი და ახალი ქართული), ქართული ენა არ იყო ერთგვაროვანი ამ საფეხურებს შიგნითაც და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ეს არაერთფეროვნება გამოწვეული იყო არა მარტო უნიფიცირებული ნორმების მქონე ენაში სხვადასხვა დიალექტიდან მომდინარე ცოცხალი სასაუბრო მეტყველების მძლავრი ნაკადის შეჭრით, არამედ თავისი დროის სალიტერატურო ენისადმი საკვები მწერლების სხვადასხვანაირი დამოკიდებულებითაც.

XII და განსაკუთრებით მომდევნო საუკუნეებში, როცა ძველი

საღიტერატურო ენის მკაცრი ნორმები დაირღვა და შანსხვავება ძველი საღიტერატურო ენასა და ახალ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებასთან დაახლოებულ საღიტერატურო ენას შორის განსაკუთრებით ცხადი გახდა, შესაძლებლობა შეიქნა ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ენაზე წერისა. ძველი, V-XI საუკუნეების საღიტერატურო ენა შემორჩა საეკლესიო ხასიათის ნაწარმოებებს, მაშინ როდესაც, ამის გვერდით საერო მწერლობაში ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული ახალი საღიტერატურო ენა დამკვიდრდა. საერო და საეკლესიო მწერლობაში ნაირგვაროვანი ენის გამოყენება ისე დიდხანს გაგრძელდა, რომ, როგორც ეს სათანადო სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, სულხან-საბა ორბელიანი, რომლის ენაც ჩვეულებრივ ცოცხალ სასაუბრო მეტყველებაზე დამყარებული ახალი ქართული საღიტერატურო ენის ნიმუშად მოჰყავთ, არაიშვიათად თავის ნაწარმოებებში ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილს მიმართავდა; მის "ნაწარმოებთა ენა ერთგვარი არაა. დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანი, ავტორი "სიბრძნე სიცრუის წიგნისა", რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, ხშირად "სწავლანი ანუ ქადაგებანი" ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს"[236].

ამრიგად, ანტონს, შემდგომში ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიის შემქმნელსა და დამკვიდრებელს, უდავოდ ჰქონია

---

236 ი ვ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი. სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის. - "ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი". საიუბილეო კრებული. თბილისი, 1959, გვ. 33.

ლიტერატურული წინაპრები.

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ამ ასპექტში იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ თვით ანტონი ჯერ კიდევ მაშინ წერდა უარესად მძიმე, ძნელად გასაგებ, ხელოვნური ენით, როცა ის არც იცნობდა სამი სტილის თეორიის არსს. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ თუნდაც მისი "მატმეცყველების" ენა. "მატმეცყველების" წერა კი მან დაასრულა 1752 წლის 11 მარტს[237], ე.ი. ერთი წლით ადრე, ვიდრე ის თავისი გრამატიკის პირველ რედაქციას დაწერდა.

ანტონის მსჯელობა სამი სტილის თეორიის შესახებ გადმოცემულია მისი გრამატიკის პირველი რედაქციის მესამე ნაწილის XVI თავში, რომლის სათაურია: "სხუადასხუა შესახელავთათჳს ძუჩლთა შეთხზუაობათასა, ზედადებითა რომელთამე სიტყუათა, აღმოღებული წერილთაგან ქართუჩლთა ენისათა, სრულიად საქართუჩლოსა არქიეპისკოპოსისა მიერ ანტონისა და ყოვლად ბრძნისა მხითარ მოძღურისა მიერ სომეხთასა ენისა წერილთაგან აღმოღებული, მაგალითად დებული ყრმათათჳს" (I,183v). როგორც ჩანს, ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორიულ დასაბუთებას ანტონი პირველად მხითარის გრამატიკის წყალობით გაეცნო და თითქმის უცვლელად, იმ სახით, როგორც ეს მხითარს ჰქონდა, გადმოიტანა კიდევაც თავის გრამატიკაში.

მსჯელობა ანტონისა ასეთია:

"პირუჩლ ვიდრემე თუ სადამე დავსდვათმცა მაგალითნი რომელნიმე ნათხზთაგან პირუჩლთა მოძღუართასა, საუწყ სადამე არს, რამეთუ სამ სახედ პოებულ პირუჩლთა მოძღუართა წერილნი ყოველნი შე-

---

[237] კ. კეკელიძე. ქართ. ლიტ.-ის ისტ., გვ. 378.

ხმუაობათა შინა. პირუჭლი იგი არს, რომელსა აქუს სიმცირე რჩეულმოძღურებისაგან, გარნა უფრორე აღვიღ გასაგონ ვიდრემე არს ყოველთა, ვითა არს სითხმკ სინაქსრისა და მოთხრობათა. მეორე უკუღ არს, რომელსა საშუალი ქცევაჲ აქუს რჩეულმოძღურებისაგან და მკბილსიტყუაობისაგან და არა არს ეგოღენ აღვიღ გასაგონ ყოველთა, ვითა იგი არს სითხმკ უმეტესთა კერძოთა სამღთოთა წერილთასა. მესამე ვიდრემე არს, რომელსა სრულად აქუს რჩეულმოძღურებისაგან და მკბილსიტყუაობისაგან და არა არს გასაგონ ყოველთა, არამედ მხოლოდ მეცნთა შორის აქუს ნათელი თვსი და ესგუარნი არიან სითხმკნი წერილთანი, ვიდრემ უკუღ დიონისის, ღმრთისმეტყუელსა დიდსა ათანასის, ვასილის კესარიელისა, გრიგორის ნოსელსა, ღირსსა ეფრემს სირიელსა, ღირსსა მაქსიმეს, ანასტასი სინელსა, სამღთოსა გერმანეს კონსტანტინეპოლელსა, მკბილმეტყუელსა იოანეს მანსურს, იოანე სინელსა, იოანე ფილასოფოსსა ქართულსა, მეფესა აფხაზთა და ქართულლთასა დავითს, ეფრემს და არსენის, ღრამმატიკოსთა ღირსთა, არსენის, ქართულლთა მამათმთავარსა, შთას რუსთაველსა, გამოთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისა და სხუანი.

საუკუ სადამე არს ცნობად, რამეთუ მოძღუარსა მიხითარს სომეხთანი მიუჯსენებიეს მოძღუარნი, მაგრამ ჩუჩნ ჩუჩნნი მოვიჯსენით უნიანრეს და ესენი არა მისთა სიტყუათაგან არიან, ხოლო რომელნიცა მოუჯსენებიეს მიხითარს, არიან ესენი: მოსე ხორანელისა, გრიგორი ნარეკელისა, ნერსეს კლაღისა, ნერსე ლამბრონელისა და სხუათა რომელთამე. ან სადამე ღრამმატიკოსთაგან თვთეული სამთანი ჭმარებისაებრ აღგილთასა და შენყობისა სიტყუასა შინა სათანადო არს შემოყუანად საქმისა[238], ესე იგი, გრახ-

ვდეს რა, ანუ აღსწერდეს მქერდჳლი თუ ვინ რაჲმესა სასარტებ-
ლისა ერისასა მხოლოჲ, ჳლირს ქცევა პირუჳლთა შესახელაჲთა,
ხოლო წარმოსცემდეს რა შესაბამსა რაჲმესა მეცნიერებასა სწავ-
ლისაები ანუ ქარდამოსცემდეს მარტივსიტყუაობათა წმიდათა წე-
რილთასა და მსტავსთა სხუათაცა, ჳლირს ქცევაჲ მეორითა შესახე-
რილთასა, ბ-ეა ჲნ ჳბე აბნაურებითა სიტკბოებისათა დაკნინებესმცა აბნა-
დავითა, ნუ ჳბე აბნაურებითა სიტკბოებისათა დაკნინებესმცა აბნა-
ურებაჲ სიტყუათა და სიღრმითა ღქსთათა ჳმეტეს ჳღრმეს დაინ-
თქასმცა სიღრმეჲ მეცნთა. ხოლო ქარდმოსცეს რა რაჲმე, რომელი
არა იყოს სამეცნოთათჳს სასწავლოთა ბა არცა სარგებელ ერთათჳს
მდაბიურთა, არამედ ბრძნისამი ბ̇ა განსწავლულისა, მხოლოდ შესა-
ბამ არს მოქმედებაჲ მათი, მაშინ ჯჱმს ქცევაჲ მესამითა შესა-
ხედავითა, რათა ბრწყინუალებაჲ სიტყუათა და ჯშირსიტყუაობა
გრახუათა, ქარქანსთხიოს სიცონილი ქონებათაქან აღმოკითხუჩ-
თასა და მხიარულ ყოს საგრძნონი და იზიდოსმცა მკითხუჩნი თან-
მდევართა ესგუართა ნათხზთასა. ან ვიდრემე უკეთუ შეთხზუაობა,
ანუ აღჳსნა ნათხზთა ნაწილთა შინა თჳსთა, ანუ პჳრობაჲ რომლი-
სამე რიცხჳსა, ვითარ იგი ჰჯამს პჳრობაჲ და ერთად კრებაჲ
თჳსთაქან ნაწილთა, აღჳლ სადამე არს ახალმესწავლეთა ღრამმატი-
კისათა, რაოდენიცა ძალუც პირუჩლის შიმართ და მეორისა თხზჳსა

---

238 მხითართან: "Արդ՝ ի ֆերթողաց իւրաքանչիւրն երից դար պիտա-
ճուտրեամբ փեղոյն և յարմարութեան բանին պարտի՛ ի գործածել" -
ხაზი ჩვენია ე.ბ. (ძვ. 453). գործ ածել ="ხმარება","გამო-
ყენება", ანტონს შემადგენელი ნაწილების სიტყვასიტყვითი გად-
მოტანით უთარგმნია: գործ ="საქმე", ածել="დასხმა", "შემოყვანა"

მსახელობისა სწავლაჲ. მაგრამ მესამე არა ეჵნოდ ადვე არს, თიო რამეთუ დაბმულევნაჲ ვიცკიეთ და ახალმესწავლეთათჳს შევჰკრიბეთ ამრიო რომელნიმე სიტყუანი თხზულთანი ძუძლთა ჩუენთა სამღთოსაგან წერილისა და სხუათაგანცა მესაბამისაებრ მესახელობისა და აღვჰსნიო ადგილ ადგილ მათდა, რომელთაგან დვსთა შინა ნაწილთა და გუარს მეთქუმობათა მათთასა ვამარტივსიტყუსბთ" (1,183v-184r).

ამრიგად, ანტონი ძვლ ქართვლ და უცხოელ მწერალთა ნაწერებს სამ სახედ ყოფს. პირველი სახის ნაწერები ნაკლებად შეიცავს რჩეულსიტყვაობას, მაგრამ ყველასათვის ადვილი გასაგებია. ასეთია, ანტონის აზრით, სვინაქსართა და მოთხრობათა ენა. მეორე სახის ნაწერებში რჩეულსიტყვაობა მეტი ოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ სამაგიეროდ ნაკლებ გასაგებიც არის პირველი სახის ნაწერებთან შედარებით. ასეთია საღვთო წერილის ენა. რაც შეეხება მესამე სახის ნაწერებს, მათ სრულად მოეპოვებათ რჩეულსიტყვაობაცა და ტკბილხმყვანებაც, მაგრამ ისინი მხოლოდ მეცნიერთა არიან გასაგები და ხალხისაგვის არის გაუკუთვნილი. იქვე ანტონი ჩამოთვლის არიან გასაგები და ხალხისაგვის არის გაუკუთვნილი. იქვე ანტონი ჩამოთვლის მესამე "სტილით" ნაწერი ნაწარმოებების (ქართველ და სომეხ) ავტორებს, ამასთან საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მხითარს სომეხი ავტორები ჰყავს მოხსენიებული, მაშინ, როდესაც მან, ანტონმა, ქართველი ავტორები დაძებნა.

ისევე, როგორც მხითარი, ანტონი მოითხოვს, რომ ნაწარმოების ხასიათი განსაზღვრავდეს ნაწარმოების სტილს. თუ ნაწარმოები ხალხისათვის არის განკუთვნილი, იგი პირველი სახის ენით უნდა იწერებოდეს, თუ ნაწარმოები სწავლას ან მოძღვრებას დარიგებს, სომეხი ავტორები ჰყავს მოხსენიებული, მაშინ, როდესაც მან, ანსიტყვები ავტორები ჰყავს მოხსენიებული, მაშინ, როდესაც მან, ანტონმა, ქართველი ავტორები დაძებნა.

ისევე, როგორც მხითარი, ანტონი მოითხოვს, რომ ნაწარმოების ხასიათი განსაზღვრავდეს ნაწარმოების სტილს. თუ ნაწარმოები ხალხისათვის არის განკუთვნილი, იგი პირველი სახის ენით უნდა იწერებოდეს, თუ ნაწარმოები სწავლას ან მოძღვრებას დარიგებს, საჭიროა მეორე სახის ენა, ანდა წმინდანთა წერილებს განმარტავს, საჭიროა მეორე სახის ენა,

რომ სიტყვათა კეთილშობილება წინადადებათა კეთილშობილების შესაბამისი იყოს და ერთმა აზრმა უბიძგოს მეცნიერთა ტონებას მეორე სიტყვისაკენ, ხოლო თუ ნაწარმოები არც სხვის მანსწავლას ეხება და არც მდაბიურთათვის არის განკუთვნილი, არამედ ბრძენთა და განსწავლულთათვისაა განიშნული, მაშინ ის უნდა იწერებოდეს მესამე სახის ენით, რადგანაც სიტყვათა ბრწყინვალება და ფრაზების მჭერმეტყველება მკითხველების ტონებას გადაარჩევს სიზარმაცეს, აღაფრთოვანებს და, ამგვარად, უფრო დაიინტერესებს მათ ასეთი ნაწარმოებებით.

დასასრულ, ანტონი, მხითარის მსგავსად, აღნიშნავს, რომ პირველი და მეორე სახის ენის მაგალითების დაძებნა ადვილად შეუძლია მოსწავლეს, მესამისა კი ძნელიაო. ამიტომ ის საჭიროდ ცნობს მიანიშნოს მოსწავლეს ასეთი მაგალითები უმეტესად საღვთო წერილიდან ან მსოფლიო ეკლესიის მოღვაწეთა და ქართველ მოძღვართა ნაწარმოებებიდან.

თავისი გრამატიკის მეორე რედაქციაში, რომელიც ანტონმა 1767 წელს დაამთავრა, მან სულ ალარ შეიტანა მსჯელობა სამი სტილის თეორიის შესახებ. ეს ფაქტი გაუგებარი რჩება, თუ მივიგონებთ, რომ ანტონი 1757 წლიდან 1764 წლამდე იმყოფებოდა რუსეთში. შეუძლებელია, რომ ის ამ დროს არ გასცნობოდა ლომონოსოვის ნაწერს: "О пользе книг церковных в российском языке" (გამოვიდა 1757 წელს) [239] და მის "Российская грамматика"-ს (გამოვიდა 1755 წელს)[240], სადაც სამი სტილის თეორიის გადმო-

---

[239] М. Ломоносов. Полное собрание сочинений. Том седьмой. Москва-Ленинград, 1952.

მას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. საფიქრებელია, რომ ანტონმა ეს გააკეთა სრულიად შეგნებულად და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ძალაში დაეტოვებინა სამი სტილის თეორიის სქოლასტიკური, ძველი, მხითარისეული გაგება და არაფერი ეთქვა ამავე თეორიის ლომონოსოვისეულ გაგებაზე, რაღგანაც ამ უკანასკნელს არა მარტო დასაშვებად მიაჩნდა სალიტერატურო ენაში სამი სტილის არსებობა, არამედ თავის "Российская грамматика"-ში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იძლეოდა იმის ნესებსა და რეკომენდაციებს, როგორი სტილისტური ხერხები უნდა იყოს ხმარებული თითოეული სტილით წერისას ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

როგორც ჩანს, თვით ანტონისათვის ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენის თეორია მისაღები იყო იმდენად, რამდენადაც ეს თეორია მას შესაძლებლობას მისცემდა ეწერა და, საერთოდ, გაევრცელებინა მაღალი ხელოვნური სტილი. საშუალო და განსაკუთრებით დაბალი სტილი მისთვის არსებობდა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად კი ის მოითხოვდა მძიმე, მწიგნობრული ენით წერას. რა შედეგები გამოიღო ანტონის სამი სტილის თეორიამ შემდეგდროინდელი მწერლობისათვის, ამის განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მითუმეტეს, რომ ამის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა[241].

---

[240] М. Ломоносов. Полное собрание сочинений. Том седьмой. Москва-Ленинград, 1952.

[241] იხ.: ა. ჩიქობავა ა. ქართ. ენის ზოგ. დახ., გვ. 020-021. ა. შანიძე. ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე. ე. ბაბუნაშვილი. სამი სტილის თეორია ქართულ მწერლობაში. - თსუ შრომები. ტ. 96. 1963, გვ.30-36.

დასკვნები

ნაშრომში "ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები" ანტონის გრამატიკის ორივე - ვრცელი (1753 წ.) და მოკლე (1767 წ.) - რედაქციის დაწვრილებითი განხილვისა და ურთიერთშედარების საფუძველზე, შეძლებისდაგვარად, გაანალიზებულია ანტონის გრამატიკული კონცეფციის არსებითი მომენტები და დადგენილია ის წყაროები, რომლებიდაც სარგებლობდა ანტონი თავისი გრამატიკის შედგენისას.

1. ანტონის "ქართული გრამმატიკის" მნიშვნელობა არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის პირველი სრული სასკოლო გრამატიკა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი დროის გრამატიკოსებზე, არამედ იმაშიც, რომ გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციისას მას ძირითადად ძველი ქართული ენობრივი მასალა აქვს გათვალისწინებული და, ამრიგად, ეს გრამატიკა არის ძველი ქართული ენის პირველი გრამატიკაც.

2. ანტონის გრამატიკის პირველი რედაქცია შედგება წინასიტყვაობისა და სამი ძირითადი ნაწილისაგან (პირველი ორ ნაწილში მორფოლოგიური საკითხებია განხილული, მესამეში - სინტაქსური. მეორე ნაწილის დასაწყისში საუბარია გრამატიკის რაობისა და შესასწავლი ობიექტების, აგრეთვე ბგერების, მარცვლის, მეტყველების ნაწილებისა და წინადადების შესახებ). პირველსა და მესამე ნაწილებს დართული აქვს თავ-თავისი დამატებებიც (პირველი ნაწილის დამატება, ე. წ. "სიმეტნე", გრამატიკის მოკლე კურსს წარმოადგენს, რომელიც განკუთვნილი იყო, როგორც ჩანს, სკოლებში გამოსაყენებლად და კითხვა-პასუხების სახით არის გაწყობილი. მესამე ნაწილის დამატება კი ეძღვნება ფონეტიკისა და ორთოგრა-

ფის საკითხებს).

მეორე რედაქცია, თავისი მხრივ, საკითხების განლაგებითაც და მსჯელობითაც პირველს იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ ამ რედაქციაში ანტონს აღარ შეუტანია "სიმეტნე" და სამი სტილის თეორია. დებულებებიც აქ გაცილებით უფრო დახვეწილი, დამაჯერებელი და კატეგორიულია, ნაკლებია სიჭრელე ორთოგრაფიული თვალსაზრისით და სახელთა და ზმნათა პარადიგმებში აღარ დასტურდება ერთი და იმავე ფუნქციური ოდენობების ნაირნაირი ფორმები.

გარდა მხითარის სომხური გრამატიკისა, რომელიც ანტონმა თავისი გრამატიკის პირველი რედაქციის დაწერისას გამოიყენა, მეორე რედაქციაში ანტონი იშველიებს სხვა (ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული) ენის გრამატიკებსაც და არ ერიდება ადრე გამოთქმული ზოგი თავისი დებულების სამართლიან კრიტიკასაც. საკმაოდ მრავლისმეტყველია, ამასთან დაკავშირებით, მისი განცხადება მეორე რედაქციის წინასიტყვაობაში, რომ ეს ახალი რედაქცია, მართალია, გადამუშავებულია ახალი ცოდნის საფუძველზე, მაგრამ ძირითადად ისევ მხითარის გრამატიკას მიჰყვებაო. ამრიგად, ანტონმა <u>პირველმა</u> შეამჩნია, რომ <u>მხითარის გრამატიკული სისტემა</u> ბოლოს და ბოლოს <u>იგივე ბერძნულ-ლათინური ფილოლოგიური გრამატიკის კვალობაზე შექმნილი ყველა ევროპული გრამატიკის სისტემაა</u>.

3. გრამატიკა, ანტონით, არის სწორად ლაპარაკისა და წერის ხელოვნება და მისი შესასწავლი ობიექტებია: 1. ასო (თუ ბგერა, ანტონი ვერ მიხვდა მათ ერთმანეთისაგან), 2. მარცვალი, 3. სიტყვა და 4. წინადადება. რადგანაც ადამიანის მეტყველება შედგება სიტყვებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან გარკვეული

ული წესის მიხედვით არიან დაკავშირებულნი, ამიტომ გრამატიკული ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის სიტყვათა მრავალფეროვნებას და მათი ურთიერთდაკავშირების წესებს.

4. ასო, ანტონის აზრით, იმდენი უნდა იყოს ენაში, რამდენი მგერაც სჭირდება ამ ენას ნარმოთქმის თავისებურებათა შესაბამისად. ქართულში 40 ასოა ამდენივე მგერის აღსანიშნავად. მგერები ანტონს დაყოფილი აქვს ხმოვნებად და თანხმოვნებად. ხმოვნები, თავისი მხრით, იყოფა გრძელ, მოკლე და შუა ხმოვნებად, თანხმოვნები კი - ნახევარხმოვნებად, უხმოებად და გაორკეცებულ თანხმოვნებად. თანხმოვნების ეს კლასიფიკაცია ბერძნულს მისდევს, ამიტომ ანტონთან დასახელებული მგერები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ საკლასიფიკაციო ნიშნის მოთხოვნილებას.

თანხმოვნები ანტონთან დაყოფილია აგრეთვე "სხვისმოვან", "საშუალ" და "ლიტონ" თანხმოვნებად. ამგვარი დაყოფა, ქართულის ფონეტიკური თავისებურებაა, საკმაოდ თავისებურია და, როგორც ჩანს, ისევ ბერძნულიდან მომდინარეობს.

ანტონი იძლევა თანხმოვნების კლასიფიკაციას წარმოების ადგილის მიხედვითაც: ეს არის ბაგისმიერი, კბილისმიერი, სასისმიერი და ხორხისმიერი თანხმოვნები.

"პროსოდიის" (ე.ი. ინტონაციის) მიხედვით მგერების წარმოთქმა, ანტონის აზრით, შეიძლება იყოს "მახვილი", "ნელიადი", "მხრიალი", "ბრჭყვი", "ლიტონი", "გრძელი" და "მოკლე". შესაბამისი ნიშნებია ´ , ` , ˘ , ^ , ˃ , ~ , ° . ყველა ეს ნიშანი ე.წ. ეკფონეტიკურ ნიშანთა რიცხვს ეკუთვნის და ქართულში გვხვდება უკვე იოანე პეტრიწის დროიდან. ანტონის დამსახურებაა, რომ ის იძლევა ამ ნიშნების აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინების

ქართულ შესატყვისებს.

5. ფონეტიკური პროცესებიდან ანტონი მსჯელობს ბგერათა პოზიციური ცვლილებებისა და მათი ჩამატება-დაკარგვის შესახებ. სწორედ ამ პროცესებზე მსჯელობისას იძლევა ის საკუთარ ორთოგრაფიულ წესებს (უ ბგერა "ბრჭყვიალება" ა-ს წინ, მაგრამ სახელთა ბრუნებისას ნათესაობითსა, მოქმედებითსა, დაწყებითსა და თანდებულიან მიცემითში ეს უ ვ-დ იქცევა; როცა იმავე უ-ს ყ მოსდევს, უ უმარცვლოდ იქცევა, ყ კი მარცვალს ქმნის...).

6. მოყვანილობა-ჯამოსახულების თვალსაზრისით ანტონი ასოთა ნიშნების შვიდ ჯგუფს ჯამოყრის: 1. "ასოჲ დიდებისა"//"საზენაო", 2. "ასომთავრული", 3. "მგრგლოვანი", 4. "ნოტრი", 5. "ყოვლიადი"//"საზოგადო", 6. "ყვავისფრჩხილოვანი" და 7. "ასომთავრული თხზული". ასოთა ნიშნების სახელწოდებების ჩამოთვლისას ანტონი ჯარკვევით ძველი ქართული დამწერლობის სახეების აღმნიშვნელ ტრადიციულ ტერმინებს უწევს ანგარიშს.

7. ქარაგმის სახეებიდან ანტონს პირველ რედაქციაში დასახელებული აქვს: 1. "საუფლო", 2. "სამთავრო"//"საასომთავრულო", 3. "საზოგადო"//"საყოველადო" და "საკმოვანო". მეორე რედაქციაში კი - 1. "უადრესობითი" ("ლატრია", "ფულია" და "იპერფულია"), 2. "საყოველადო" ("ასომთავრებითი" და "საზოგადო").

8. ანტონს ჩამოთვლილი აქვს სასვენი ნიშნების შემდეგი სახეები: 1. "ქუცქაცხიდული"//"მძიმე"//"ვარია"//"ქუცნერტილი", 2. "შუა ნერტილი"//"ნერტილი"//"ერთი ნერტილი"//"სტიქმა", 3. "დასასრული ნერტილი"//"ორნერტილი"//"აღსასრული ნერტილი", 4. "ტრჩხილი", 5. "გარემომრთხმელი"// "ელიპტიკური", 6. "ნელიადი", 7. "ქუცნაშთი", 8. "ოკსია"//"მახვილი".

ანტონის პუნქტუაციური ტერმინები ზოგი სომხურის კალკია ("ქუსრაზიდული", "ქუსწერტილი", "შუა წერტილი", "დასასრული წერტილი", "აღსასრული წერტილი", "ფრჩხილი", "ნელიადი", "ქუსნაშთი"), ზოგი - ბერძნულია ("ვარია", "სტიღმა", "ვიპოდიოსტოლი", "ოქსია"). ზოგი კი ძველი ქართული დამწერლობიდან არის აღებული ("მძიმე", "წერტილი", "ერთი წერტილი", "ორწერტილი", "გარემომრთხმელი").

9. ანტონი გამოყოფს მეფყვლების რვა ნაწილს ან, როგორც თვითონ უწოდებს, "სიტყვის ნაწილს". ყოველი ცალკე აღებული მეფყვლების ნაწილი წინადადების გარეშე მისთვის სიტყვაა, რომელიც პირველი რედაქციის მიხედვით მნიშვნელობის მქონე ხმაა, მეორე რედაქციის მიხედვით კი ჩვენი ცნების ან წარმოდგენის ნიშანია.

10. სიტყვა შედგება მარცვლებისაგან, თვითონ კი წინადადების ნაწილს წარმოადგენს. როგორც წინადადების ნაწილები (იხ. მეფყვლების ნაწილები) სიტყვები რვაგვარია: 1. სახელი, (არსებითი და ზედსართავი) 2. ნაცვალსახელი, 3. ზმნა, 4. მიმღეობა, 5. თანდებული, 6. ზმნიზედა, 7. კავშირი და 8. შორისდებული.

11. არსებით სახელს ექვსი (მეორე რედაქციაში: ხუთი) "მდევარი" აქვს: სქესი, ფუძის აგებულება, ფუძე, რიცხვი, ბრუნვა 1და ბრუნება1. "ამრიგად, "მდევარი" მოიცავს როგორც მორფოლოგიურ კატეგორიას ("ნათესავი", ბრუნვა, რიცხვი), ისე ფუძის დახასიათებას შედგენილობა-წარმოქმნის თვალსაზრისით" (ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა).

12. ანტონის გრამატიკაში შემჩნეულია და ძირითადად სწორად არის კვალიფიცირებული ქართული ბრუნების თავისებურებანი, სა-

ხელობრ, მიუხედავად იმისა, რომ, მისი აზრით, ქართულში რვა ბრუნვაა, ა) მეორე რედაქციაში ის არსებითად უარყოფს ისეთი არასპეციფიკური ბრუნვის არსებობას ქართულში, რომელიც შემასმენლობითი; ანტონის მიერ დასახელებული საბუთი ("მაშინდელთა ჩემთა თანამშრომელთა პატივს ვჰსცემ და დაუთმობ ამას და რუამთავე დავაბესებ ბრუნუათა სახელისათა"-ო. (1,72ჩ), რომლის ძალითაც შემასმენლობითი ბრუნვათა რიცხში დარჩა, ვფიქრობთ, მეცნიერულ საბუთად არ ჩაითვლება და ბიანს ვერ მოუტანს ანტონის სწორ მოსაზრებას, რომ რაღანაც ფორმის თვალსაზრისით შემასმენლობითი სახელობითის აბსოლუტური ფარდია, ის არ შეიძლება ქართულში ბრუნვად ჩაითვალოს; ბ) რაკიღა ვითარებითი ბრუნვა ანტონმა ცალკე არ გამოყო, სწორია აგრეთვე ამ ბრუნვის ნიშნების მიცემითი (და არა სხვა რომელიმე) ბრუნვის ნიშნებთან დაკავშირება; გ) სწორია აგრეთვე მოთხრობითი ბრუნვის ფუნქციით სახელობითთან გათანაბრება და იმის საგანგებოდ აღნიშვნა, რომ მოთხრობითი არ არის "გულარძნილი" ბრუნვა; დ) არ გამორჩენია ანტონს არც არსებითი სახელების კუმშვა და კვეცა; ე) საგანგებოდ არის ხაგასმული ის გარემოება, რომ ქართულში არსებითად ერთი ბრუნება გვაქვს; ვ) სწორად გამოყო ანტონმა აგრეთვე ბრუნვის ნიშნებიც (რა თქმა უნდა, ძირითადად ძველი ქართულის ენობრივ მასალაზე დაყრდნობით). ანტონი უგულებელყოფს ფონეტიკურ ფაქტორს და ბრუნვის ნიშნების შემადგენელ ნაწილებად თვლის ემფატიკურ ხმოვნებსა და ბოგერ ფუძის უკანასკნელ ბგერებსაც, ამიტომ თითეული ბრუნვის ნიშნისათვის საკმაოდ ბევრი სახეობა გამოუდის. ენის სისტემის სინქრონიული შესწავლის თვალსაზრისით ასეთი მიდგომა საკითხისადმი მეცნიერულად ფასეული ჩანს.

13. სქესის კატეგორიაზე ზოგადი მსჯელობის შემდეგ ანტონი სწორად ასკვნის, რომ ამა თუ იმ სქესის აღმნიშვნელი სპეციალური მაწარმოებელი ქართულში, სხვა ენებისაგან განსხვავებით, არ არსებობს.

14. სახელის ფუძე, ანტონის მიხედვით, შეიძლება იყოს მარტივი, რთული და ზერთული, აგრეთვე "პირველსახე" და ნაწარმოები. ნაწარმოებია სახელი, როცა მას ერთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი მაწარმოებელი ნაწილაკები. მნიშვნელობის მცველი ჯფიქსების დართვით ნაწარმოქმნილი სახელები ჩვიდმეტი სახისა არის ქართულში ("მოგებითი", "უარყოფითი", "კნინობითი", "ნათესავობითი", "მემცველობითი", "არსებითი", "თანმდგომითი", "სახელ&მნასხმითი", "ქონების", "აღმატებითი", "მდებრობითი", "მფარველობითი", "მემხსგავსებითი", "ულვთი", "იგივეობითი", "წესებითი" და "შედგომებითი").

15. რიცხვი ორია: მხოლობითი და მრავლობითი. მრავლობითის მაწარმოებლებია: ნი, ები, ებ, ცხ, ანე. ბრუნვის ნიშნებზე მსჯელობისას დამატებით დასახელებულია: თა, თ, ებისა, ების, ებთა, ებთ ნიშნები.

16. ზედსართავი სახელი იყოფა: დადებითად, შედარებითად და აღმატებითად.

17. ნაცვალსახელთა ჯგუფებია: პირისა, კუთვნილებითი, ჩვენებითი და მიმართებითი.

18. ზმნა ანტონს განსაზღვრული აქვს, როგორც მოქმედების ან ვნების გამომხატველი ნაწილი, რომელიც დროსა და პირსაც აღნიშნავს. ზმნა შეიძლება იყოს "არსებითი" (ე.ი. მქვეთი) და "საქმონი" ან "საქმითი". "საქმონი" ზმნები, თავისი მხრით,

იყოფა "კანუნიან" და "უკანონო" ზმნებად. "კანუნიანი" ზმნები არც დრონაკლია და არც პირნაკლი. "უკანონო" ზმნებს კი აკლია პირის ფორმა - "პირნაკლი" ზმნები, ან რომელიმე დროის ფორმა - "კლებითი" ზმნები.

19. ზმნას რვა "ძარემო" ანუ "მდევარი" აქვს: ბვარი, ფუძე, ("ნაკუჩთი" და "სახე"), რიცხვი, პირი, დრო, კილო და უღვლილება.

20. ზმნის ბვარზე მსჯელობისას ანტონძა კატეგორიულად უარყო ქართულისათვის არაბუნებრივი როგორც "ხატსამუალი", ასევე "საზოგადო" ბვარის არსებობა და ქართულში მხოლოდ სამი ბვარი ბამოყო: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი. მოქმედებითი და იმანარმოებლიანი ვნებითი ბვარის ფორმები ანტონს ძირითადად სწორად აქვს დამოწმებული, საშუალი ბვარის ფორმებში ბარკვევა კი ბაუჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს-და სწორად დაყო საშუალი ბვარის ზმნები მაცთუნებელ "ხაძმემოქმედებით" და "ხატვნებით" (ერთი შეხედვით, იგივე მედიოაქტიურ და მედიოპასიურ) სახეებად.

21. ზმნის ფუძე ("ნაკუჩთი") შეიძლება იყოს მარტივი, რთული და "ზედადებული" ან "ზედმეტსრული".

ზმნა "ზედადებული" ან "ზედმეტსრულია", თუ მას ზმნისწინი ახლავს. ზმნისწინები, ანტონის აზრით, ან სამკაულად გამოიყენებიან, ან ართკეცებენ, ავითარებენ და ცვლიან ზმნის მნიშვნელობას.

22. ზმნის ფუძე ("სახე") შეიძლება აგრეთვე იყოს "პირველსახე" და "სხმითბარდასღვთი". "პირველსახე" ზმნები ზმნის ძირებს წარმოადგენენ, "სხმითბარდასღვთნი" კი ა და <u>ინებ</u> მანარ-

მოებრეშს ალირთაევენ.

23. ზმნას ორი რიცხვი აქვს: მხოლობითი და მრავლობითი. მრავლობითი რიცხვი სპეციალური ნიშნებით იწარმოება, თუმცა ისეთი ზმნებიც არსებობს, რომლებიც ფუძის მნიშვნელობით მიუთითებენ მრავლობითზე. ზმნაში მრავლობითის ნიშანი მაშინაც არის, როცა "ერთისა მოქმედისაგან ქმნილან მრავალთაგმი მოქმედებანი".

24. ზმნას სამი პირი აქვს: პირველი პირი მოუბარზე მიუთითებს, მეორე - იმაზე, ვისაც ესაუბრებიან, მესამე - იმაზე, ვის მესახებაც არის საუბარი. პირველი პირის ნიშანია პრეფიქსი ვ. მეორე პირისა, ის ბგერა, რომელიც ვ-ს მოსდევს სათანადო ზმნაში (მეორე პირის ნიშნებად გაკვრით ჳ და ს პრეფიქსებიც არის ნახსენები), მესამე პირის ნიშნები სუფიქსებია - ს,ნ,ა, ი. მრავლობით რიცხვს პირველსა და მეორე პირში ო სუფიქსი აღნიშნავს, მესამე პირში - ენ, ჟნ, ან, ვან, ყე, ს, ე, ედ, ნ, ნეს, ნენ სუფიქსები. ზოგ ზმნას პირველ პირის ნიშნად ე პრეფიქსი აქვს, მეორე პირში ამ შემთხვევაში ქ პრეფიქსია მისაღები, მესამე პირის ნიშანია ქ-ს მომდევნო ბგერა ან უ. ე-ს რიგის ზმნებში მრავლობითის ნიშანი პირველ პირში არის პრეფიქსი ქუ//ქვ, მეორე და მესამე პირში სუფიქსი ო.

25. დრო სამი აქვს ზმნას: აწმყო, ნამყო და მყოობადი. ნამყო ოთხგვარია: ნამყო უსრული, ნამყო სრული, ნამყო უსრულესი და ნამყო უსრულესი.

26. კილო ზმნისა შეიძლება იყოს თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი, პირობითი და "უჩინოებითი" ანუ "განუსაზღვრებელი". კავშირებითი და პირობითი კილოს ფორმები ერთმანეთისაგან შორისდებულებით განირჩევა. კავშირებით კილოს ერთვის "ვაშათუ" ან

"ნეჭართუმცა" შორისდებულები, პირობის კი - "უკეთუ".

ქვსივე ღრო შეიძლება მხოლო თხრობითი კილოს ზმნას ქონდეს, "განუსაზღვრებელ" კილოს (ე.ი. სანყისს ეითარებით ბრუნვაში) მხოლო ორი დრო - აწმყო და მყოობაი აქვს, ბრძანებით კილოს ნამყო დროები არ გააჩნია, ხოლო კავშირებით და პირობით კილოებს არა აქვთ აწმყო (მყოობაი ცვლის) და ნამყო სრული (უსრული ცვლის).

27. ზმნების უღვლილებებად დაყოფისას ანტონს თხრობითი კილოს აწმყოს დაბოლოება აუღია კრიტერიუმად. პირველი რედუქციის მიხედვით ზმნას ხუთი (ა,ე,ო,უ,ი) უღვლილება აქვს, მეორის მიხედვით - რვა (ა,ე,ჭ,ი,ო,უ,ვ,ჳ).

28. ზმნა, ანტონის აზრით, ოთხი ელემენტისაგან შედგება: 1. ზმნის ძირი, 2. მაუწყებელი ასო, 3. პირის ნიშანი და 4. მრავლობითის ნიშანი.

29. ზმნის უღვლილების პარადიგმების განხილვა დრო-კილოთა მიხედვით ანტონთან იწყება თხრობითი კილოს აწმყოთი. აწმყოს პარადიგმების დამოწმებისას ანტონი ისევე, როგორც ყველგან თავის გრამატიკაში, ძველი ქართულის მასალას ეყრდნობა, სახელდობრ, ავ და ამ თემისნიშნიანი ზმნების მრავლობითის მესამე პირში, როგორც ჩანს, დამოწმებულია "შეკრულნი", "აღიბუმენ" რიგის ფორმები; უპრევერბო ფორმების გვერდით აწმყოდ არის გამოყენებული პრევერბიანი ფორმებიც; ვნებით გვარის ზმნები მხოლობით რიცხვის III პირში უმეტესად ე-ს დაბოლოებიანია; "ესხუნ" ტიპის ზმნები მეშვიდე ზმნის გარეშეა ნაკლები.

აწმყოდან ჩაწერილი ანტონის გრამატიკაში ე პირისნიშნიანი აწმყოს ხოლოობითის მხოლობითი რიცხვის III პირის ფორმები.

30. ანტონის ნამყო უსრული ეს არის უპირატესად ძველი ქართულის უწყვეტლის ხოლმეობითი, თუმცა ზოგჯერ მხოლოობითი რიცხვის III პირში უწყვეტლის ფორმებიც დასტურდება, მრავლობითის III პირში კი I კავშირებითისა. ოდ-იანი ბმნების თავისებურება ძველ ქართულში ანტონს შეუმჩნეველი დარჩა და, როგორც ჩანს, იმითომაც, რომ მას საერთოდ გაუჭირდა ძველი ქართულის ოთხი მწკრივის (უწყვეტლის, I ბრძანებითის, უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის) ფორმების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

31. უკუთქმითი ბრძანებითი კილოს ანმყოს II და III პირის ფორმები იგივე თხრობითი კილოს ანმყოს ფორმებია.

32. კავშირებითი და პირობითი კილოების ანმყო-მყოობაებისათვის ანტონს ძველი ქართულის I კავშირებითის ფორმები გამოუყენებია, თუმცა ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის III პირში ძველი ქართულის I ბრძანებითის ფორმებიც არის გაპარული.

რაც შეეხება ამ კილოების ნამყო უსრულს, ეს იგივე თხრობითი კილოს ნამყო უსრულია.

33. ბრძანებითი კილოს მყოობაების ნართქმითი და უკუთქმითი ფორმები იგივე კავშირებითი ან პირობითი კილოს ანმყო-მყოობაებია.

34. ნამყო სრულის პარადიგმების დამოწმებისას ანტონი ცდილობს, რომ ეს იყოს ძირითადად ძველი ქართულის წყვეტილი, რაც უპირველესად ყოვლისა დაჩნდება ზოგჯერ დ-ნიანი ვნებითი გვარის I და II პირის ფორმების ნარმოებაში და სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნაში. ვნებითი გვარის ბმნების III პირის მრავლობითში ჩვეულებრივ ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებია დამოწმებული, თუმცა იშვიათად

ძველი ქართულისებური ფორმებიც დასტურდება.

ანტონის მიერ უწყვეტლის ფორმების რიგ შემთხვევებში ნამდვილად დამოცხადება, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ ამ შემთხვევაში ან ისეთი ზმნებია დასახელებული, რომლებიც წყვეტილის ფორმებს ვერ ანარმოებენ და ამიტომ უწყვეტელი მათთვის ერთადერთი ფორმაა ნამდვილში, ან ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი მხოლოდ დ-ონით ნაწარმოები უწყვეტლის ფორმები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, საეჭვოდებელია, ანტონი შეცდომაში შეიყვანა ე-ს უქონლობამ. არ არის დამორიცხული აგრეთვე, რომ დ-ონიანი უწყვეტლის ფორმების წყვეტილად ჩათვლა ანტონთან დამოწმებულია დ-ონიანი ვნებითების კვალიფიკაციის უუნარობითაც.

35. ბრძანებითის კილოს ნამდვილში წარმოქმითი ფორმები მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის II პირში ემყარება ნამდვილ სრულის II პირს, III პირისა კი - მყოფადის III პირს. ბრძანებითის ფორმები მხრობითი კილოს ფორმებისაგან, ანტონის აზრით, მახვილით უნდა დაირჩეს. მახვილის დამოკუნება ბრძანებითის ფორმებთან ნამდვილისა და მყოფადის ფორმებისაგან განსხვავებით ანტონის დრამატიკაში, ეჭვიქრობთ, მხოლოდ დრაფიკულია და საშეტყველო პლანს (ე.ი. ინტონაციას) არ უნდა დაუკისხმობდეს, ისევე, როგორც იმავე მახვილის დამოკუნება მემასმენლობით ბრუნვაში სახელობითისაგან განსხვავებით.

36. ანტონის ნამდვილ უსრულესი და უუსრულესი ეს არის მეორობითი I და II, უპირატესად ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებით როგორც დარდაუვალი, ისე დარდამავალ ზმნებში. მრავლობითის II და III პირის ფორმებში მრავლობითის ნიშნების დამოკუნება უთუოდ ახალი ქართულის ძალუნაა, ისევე, როგორც <u>ია</u> და-

ბოლოება ნამყო უსრულესში ან მეშველი ზმნის შეკვეცილი ფორმა
ქარდაუვალი ზმნების მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმებში.

36. ანტონის მყოობადი ეს არის II კავშირებითი ისევ ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმებით, თუმცა ბოძან დამწყებულია II ბრძანებითის ან I კავშირებითის ფორმებიც.

37. ზმნის უღვლილების მხოლოდ პარადიგმების დამოწმებისას (თეორიული მსჯელობის ქარეშე) გრამატიკის ორივე რედაქციის პირველ ნაწილში ანტონს დრო-კილოთა ასეთი თანამიმდევრობა აქვს დაცული:

I ხრობითი კილოს 1. აწმყო, 2. უწყვეტელი, 3. წყვეტილი, 4. I ფურმეობითი, 5. II ფურმეობითი, 6. II კავშირებითი.

II ბრძანებითი კილოს 1. აწმყო, 2. მყოფადი.

III კავშირებითი კილოს 1. აწმყო-მყოფადი, 2. უწყვეტელი, 3. წყვეტილი, I ფურმეობითი (იგივეა, რაც ხრობითი კილოს II ფურმეობითი), 4. II ფურმეობითი (იგივეა, რაც ხრობითი კილოს II ფურმეობითი).

IV პირობითი კილო იმეორებს კავშირებითი კილოს ყველა მწკრივს.

V "უჩინო" კილოს 1. აწმყო, 2. მყოფადი.

VI მიმღეობის 1. აწმყო, 2. წყვეტილი, 3. I და II ფურმეობითი, 4. მყოფადი.

VII სახელზმნა.

38. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძველ ქართულში არარსებულ, ფსევდოარქაულ ფორმებს, ანტონს გამოყენებული აქვს ძველი ქართულის ზიანქმის ყველა მწკრივი: აწმყო, უწყვეტლის ხოლმეობითი, I კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I ფურმეობი-

ი, II ფურმეობითი. სპორადულად: აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი (არ ჩანს მის დროს ძველი ქართულის ენობრივი მოვლენები უკვე მკვდარია და, აბას ძარღა, ენობრივი ინტუიცია მას ახალი ქართული ენის მოდელებს უკარნახებს (აწიტომაც არის ძაპური პარადიგმებში ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები).

39. სახელწმნა (ე.ი. საწყისი) იწარმოება ფხრობითი კილოს აწმყო დროის პირველი პირის ფორმისაგან და სახელფოდებით ბანარჩევს მოქმედებას ან ვნებას.

40. სახელწმნისაგან იწარმოება ე.წ. "უჩინო" ან "განუსაზღვრებელი" კილო ე-ონის დართვით.

41. მიმღეობა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც საგნის ნიშანსა და აგრეთვე მოქმედებასა და ვნებას აღნიშნავს დროის მიხედვით. მიმღეობას სამი დრო აქვს: აწმყო, წამყო და მყოფადი. აწმყოს მიმღეობა მოქმედებითი გვარის არის, წამყოსა და მყოფადის მიმღეობა კი - ვნებითი გვარისა. მიმღეობას ექვსი "ბარემო" აქვს: გვარი, ფუძე ("ნაკუთი" და "სახე"), რიცხვი, ბრუნვა და დრო. ბრუნვა სახელის კატეგორიაა, გვარი და დრო - გმნისა. "ნაკუთი", "სახე" და რიცხვი სახელსაც აქვს და გმნასაც.

42. მიუხედავად უცხო ენათა გრამატიკების გავლენისა და იმ შეცდომებისა, რომლებიც ანტონს არ შეეძლო არ დაეშვა ენამეცნიერული აზროვნების იმდროინდელ პირობებში, ანტონმა შეამჩნია და აღნუსხა ქართული გმნის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი თავისებურებები, სახელდობრ: ა) მიაქცია ყურადღება სუბი-

ექტისა და ობიექტის ერთი და იმავე პირების (I და I, II და II) შეუთავსებლობას ბმნის ფორმაში; ბ) აღნიშნა ბმნის მრავალპირიანობა ქართულში; გ) <u>ინებ</u> მანარმოებელთან ერთად აუცილებლად მიიჩნია ⊥ თავსართი ბმნის კაუზატიურ ფორმებში და აღნიშნა, რომ ასეთი ფორმები ყოველთვის სამპირიანია; დ) მამოყო ბმნისწინის ერთ-ერთი ფუნქცია - ბმნის მნიშვნელობის ცვლა; ე) ჩამოთვალა ბმნის ყველა მწკრივი, სადაც შესაძლებელია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა და საკანგებოდ მიუთითა ამ კარგმოებაზე; ვ) "მიყუარან" და მსგავს ფორმებში ანტონისთვის სუბიექტი ("მოქმედი") მიცემითში დასმული სახელია, ობიექტი კი სახელობითში დასმული სახელი, ე.ი. ანტონმა ფაქტიურად პირველმა აღიარა საკუთრივ ინვერსიული ბმნების არსებობა ქართულში; ზ) სწორად მამოყო პირის ნიშნები (როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური); თ) კარგად მაერკვა, ერთი მხრივ, გარდაუვალი და გარდამავალი და, მეორე მხრივ, ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ბმნების თურმეობითების წარმოების თავისებურებებში; ი) ყურადღება მიაქცია <u>ავ</u> და <u>ამ</u> სუფიქსებიანი ბმნების პარალელურ, თემისნიშნიან და უთემისნიშნო, წარმოებას თურმეობით პირველში და უპირატესობა თემისნიშნიან ფორმებს მიანიჭა. კ) აღნიშნა ზოგი ბმნის თავისებურებები (ვარ, ეჰბი, ვიტყვ, ხვალ, მოველ).

43. თანდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც არსების გარემოებას აღნიშნავს და ბრუნვაში სახელის მართვის უნარი აქვს. თანდებულმა სახელი შეიძლება მართოს წრფელობით, მიცემით, ნათესაობით, შემასმენლობით, დანყებით და მოქმედებით ბრუნვებში.

44. ბმნიზელა არის მეფყვეღების ნაწიღი, რომელიც არსების მოქმეღებისა ღა ვნების ძვარის აღნიშვნელია. ბმნიზელის ჯგუფებია: "ვითარებითი", "რაოღენობითი", "ჟამობითი", "ღროებითი", "აღგილობითი", "შემკრებელობითი", "ბანკიღებულებითი", "წართქმითი", "უკუთქმითი", "ბამოცხაღებითი"//"ბაწცხაღებითი", "უცხაღოებითი", "საკითხავი", "მკსნრაფლობითი", "სიხშოებითი"// "ჰკშირობითი", "ხარისხებითი"//"წესებითი"//"აღსავლობითი", "ჩუქნებითი", "მრჩობლობითი"//"შემრჩობლებითი", "წინააღრჩევითი", "ღასაყენებელი"//"ღაყენებითი", "უთანამღებობითი", "ანაზღობითი", "მყუღროებითი".

45. შორისღებული არის მეფყვეღების ნაწიღი, რომელიც სუღის სხვაღასხვა ვითარებას აღნიშნავს. შორისღებულის ჯგუფებია: "სანეტარო", "ბანცხრომითი", "საბანსაკვირო", "შენყაღებითი", "სასაღმობო", "შინაბანმგზებარეობითი", "ვაღაღებითი", "უჭამსობითი", "ბასრობითი", "შორსწოღებითი", "იღუმალობითი", "ბანმკნობითი".

46. კავშირი არის მეფყვეღების ნაწიღი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წინაღაღების ნაწიღებს. კავშირის ჯგუფებია: "საერთმასნო", "საბანწუაღვო"//"ბანწუაღვითი", "ბარმიმღეობითი", "ბაწყებითი", "საუსრულო"//"უსრულებითი", "წინააღრჩევითი", "მიზეზობითი", "უკეთუობითი", "ბანმარტებითი", "ზეღმოღებითი", "მეტნობითი", "საიქო"//"იქუნეობითი".

47. სინტაქსი არის მეფყვეღების ნაწიღების ორგანიზებული ბანლაგება ერთ მთღიან გრამატიკულ ერთეულში.

48. ყოვეღი სიტყვა წინაღაღების ნაწიღია, ხოლო წინაღაღება არის სიტყვათა შეერთება, რომელიც ბამოხატავს აზრს ღა შინაარ-

